

კარი ერთოსტელი

კოლხეთი  
ფსალმენი

100-ტომეული



გამომცემლობა „კნივერსალი“  
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

# კუსა ექისტელი



## კოლეური ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული  
100 ფომად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და  
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია  
„ეპლიუა-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

# კუკა ეჭილელი



კოლეური  
ფსალმუნები

ტომი 41

2020



მთ. რედაქტორი

**მურად ჭოლოპავა (მიმიგური)**  
პოეტი, საქართველოს მწერალ-  
თა, მეცნიერებათა და საზოგა-  
დოებრივ მოღვაწეთა აკადემია  
„ქალდეა-საქართველო“-ს  
აკადემიკოსი.

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „კენცენსალი“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტკოვსკაიას №4, ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-848-9 (41 ტომი)



\* \* \*

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორბაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაჟა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუტი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა კავშირის, ვაჭავებელასა და გალაკტიოზ ტაბიდის არემიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმაცანის მედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის მქროს ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მოერალია მეცნიერთა და საზოგადო მოდვარია საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული და ვაზის საერთაშორისო კაპადემია 2008-ის კრეზიდენტის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შალგუნების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისელის ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შალგუნების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდი-ანი, უბადლეს კოლიგრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიზრულს გამოვიდა „კოლეჯი შალგუნების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენი 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისელის კლასიკური კოექტის ათომობუ-ლი, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოე-ლი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგარია ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე დია კონსისტრი ერო-სხად აირჩია აგავე კადემიის 30ხვ-კარეზილენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შალგუნების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროგვესორი ვაჟა უბრისელი.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,  
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მოერალი) და ორი ვაქიობილი ზურაბი და დაჩი (ორივა იურისტი) და სამი მვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





## პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვის რომ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, რომ აზანზარებს ჩემად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შალმუნე-ბის“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხე, ჩამი ძველი აზრი რადიკალურად უარვდავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაღლა ვაცხადებ: ვა-შა მცირებული არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოენს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმის ჰალაში მდგა-რი მუხაა, რომელსაც ოქროს საჯმისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მთიული ხელმოწის, აიეტის ხელი დარ-ბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპები, კოემჭა იქროს საჯმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შალმუნების“ იგავითვალებრივი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმირილი, არა მარ-ტო კოლხეთის, არამედ იმდონიდებრი სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნვანი მთიული, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავია.

100-ტომეული... ქვეყნის განენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიმნიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კომია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...

კოსმოსში კი...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გვე-ლუშავი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

### გულაზ ხარაიზვილი

კოემჭი, ბალაპტიონ ტაბიძის არევის დაურიატი,  
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა  
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი



„გულიფიად შესვლი ყოველ შებას, ყოველ ძაბხას.“

ა. პუშკინი

### შოთარიშვალის მაბიერ

(გაგრძელება)

მთელმა მსოფლიომ იცის ქეთევან დედოფლის სახელი და მისი მოწამეობრივი სიკვდილი, მრავალ გამოჩენილ ადამიანს უწერია მასზე, მრავალი ქართველი პოეტი და მწერალი შეხებია ქეთევანის თქმას. თეიმურაზმა თავისი წიგნი „წამება ქეთევან დედოფლისა“ უშუალო შთაბეჭდილებათა ფონზე დაწერა. იგივე წამება გალექსა მდვდელმონაზონმა კოზმანმა. ქეთევანის ცხოვრება და წამება აღწერა გრიგოლ დოდორქელმა. ქეთევანის წამებას სამი სტროფი უძღვნა სულხან-საბა ორბელიანმა. 1882 წელს ალექსანდრე ყაზბეგმა დაწერა დრამა „წამება ქეთევან დედოფლისა“.

ჩვენი თანამედროვეობის მწერლებმა ვიქტორ გაბისკირიამ და ქეთევან ირემაძემ პატრიოტული მოტივით გაედენთილი ნაწარმოებები შექმნეს წამებულ გმირ ქალზე. ხოლო გერმანელმა მწერალმა ანდრეას გრიფიუსმა შექმნა ბრწყინვალე ტრაგედია: „ქეთევან



(წამებული) ქართველი ანუ გაუტეხელი სულის სიმ-  
ტკიცე“. (რომლის წინასიტყვაობაში გამოჩენილი მწე-  
რალი და პუბლიცისტი აკაკი გელოვანი წერს: „ისე-  
ვე, როგორც ბაროკოს სტილის ფრესკებში ნათელი  
ანგელოზები ციური სიმაღლეებიდან შავ უფსკრულ-  
ში ეშვებიან და უფსკრულიდან მაღლდებიან, გრიფი-  
უსის ტრაგედიაშიც მარადიულ ჭიდილშია სიცოც-  
ხლებ-სიკვდილი, შექი და ჩრდილი, იმედი და სასო-  
წარკვეთილება. გლოვის ველი და ეკლის გვირგვინია  
წამებულის ტონიც და სამკაულიც. არსებულ სინამ-  
დვილეს პოეტი სასტიკ ომს უცხადებს, მაგრამ ვერ  
ხედავს გამოსავალს და მის შორეულ იმედს ეწოდე-  
ბა მარადისობა“.

დიახ, მსოფლიო რეზონანსი აქვს ქართველი მო-  
წამისა და საქართველოს გმირული წარსულის ამ-  
ბებს...

ქეთევან დედოფალმა მტკიცედ განიზრახა ქრის-  
ტესთვის შეეწირა თავი და ამით ყოველ ადამიანს  
შესწეოდა უფლის წინაშე, რადგან ადამიანის ცხოვ-  
რება ფასდება არა ამქვეყნიური კეთილდღეობით,  
არამედ, ღვთის დიღებით. ამქვეყნიური ჭირი და ტკი-  
ვილი წარმავალია, მას მარადიული დიღებისაკენ  
მოჰყავს ყოველი ადამიანი. წამებულ დედოფალს მუ-  
დამ ახსოვდა უფლის სიტყვები: „თუ გსურს ღმერთს  
მიუახლოვდე, განსაცდელისათვის მოამზადე საკუთა-  
რი სული, თუ კეთილ საქმეს აკეთებდი და ვნებას



გაყენებენ, მოითმინე, რადგანაც ეს არის მადლი ღვთისა.“

ქეთევან დედოფალი ქვეყნისა და ერის ხსნის-  
თვის ეწამა, მაგრამ მისი გმირობა არა მარტო ქარ-  
თველთაოვის არის მნიშვნელოვანი, არამედ სხვა  
ქაფნის მორწმუნებიც ქედს იხრიან ქართველი დედი-  
სა და მოწამის თავგანწირული სულიერი სიმტკიცის,  
ერისა და რწმენის ერთგულების წინაშე...

პოეტი ვაჟა ეგრისელი ხოტბას ასხამს საქარ-  
თველოს გმირ დედოფალს, მის სიმტკიცესა და გაუ-  
ტეხლობას. სიკეთისა და ჰუმანიზმის ჭეშმარიტი მე-  
ხოტბე მოხიბლულა ქეთევან დედოფლის მოქალაქე-  
ობრივი შემართებით. პოეტი გმობს რელიგიურ ფანა-  
ტიზმს, რჯულთშეუწყნარებლობასა და ეროვნულ  
შუღლს. მისთვის ქეთევან დედოფლის სახელი მახ-  
ლობელია და მისაღები. პოეტის ეს თვალთახედვა  
შთამბეჭდდავადაა გაცხადებული შემდეგ ლექსში:

\*

„წუხილით გადაბინდული –  
საუკუნეთა მთები და  
მინდვრები გადმოიარა,  
ქართლის ცას მწუხრად რომ შერთვია,  
წარსულის ღრუბელი კი არა,  
ქეთევან დედოფლის  
ვერცლია“.



ეს თქმა საქართველოს ტრაგიკული ისტორიის ჭრილშია გააზრებული და მამულისათვის წამებული დედოფლის მარადიულ სიცოცხლესთანაა გაცნობიერებული. ხსენებული ლექსი სრულად ასახავს ჯვარცმული დედოფლის მარადიულ ხატებას, თაყვანისცემასა და მოწიწებას იმ გმირისადმი, რომელმაც თავისი რწმენისა და ერისათვის კოცონზე ინება ასვლა. ‘ღმერთო, სამშობლო გადამირჩინ!..

ცრემლები მარგალიტებად ბრწყინავდნენ ქეთუვან დედოფლის უსათხოეს სახეზე.

ქართლში, ცასა და მიწას შუა, მუხრანშია ჩაწერული ქეთევან დედოფლის ფესვები, ასე თბილ ქრისტიანულ სალბუნად რომ დაედო ქვეყანას იმ დროიდან დღემდე.

...სანთლის სიწმინდედ ეფინებოდა ქეთევანის თეთრი სისპეტაკე შირაზის ზნეგამშრალ უგულობას, გააშიშვლეს, მერე ვინ, ქალი, ქეთევან დედოფალი. ეს უსპეტაკესი დვოისმოსავი, კრძალული, ცოცხალი სიწმინდე...“

და მაინც უმთავრესი, რასაც ვაჟა ეგრისელმა ქეთევან დედოფლისადმი მიძღვნილი ლექსის სტრუქტურაში მიაღწია, არის სიახლე თავად პოეტური ხატის გააზრებაში, რამეთუ ქეთევან დედოფლის თავგანწირვაში აშკარად ხედავს მაინც ქართველ ხალხს, ჩვენს ერს. ხოლო ქართლის ცას მწუხარედ შერთული ღრუბელი ისე სარწმუნოდ მკვიდრდება



ჩვენს არსებაში, ვიჯერებთ ეს მართლაც „ქეთევან  
დედოფლის ფერფლია“ და ეს მისტიკის გამოვლენა  
კი არაა, არამედ წამებული დედოფლის ტრაგიკული  
ცხოვრების არაჩვეულებრივი სასწაული...

„ქეთევან დედოფლალმა თავისი დაფლეთილი  
ძუძუებით მეტი გმირი აღუზარდა თითქმის დაცარიჯ-  
ლებულ და გავერანებულ ქართ-კახეთს, ვიდრე ასია-  
თასი ქალი თავისი რძით აღზრდიდა.

...საერთოდ, სიკვდილი უფრო ადვილია ადამი-  
ანისათვის, რომელსაც უკვდავება სწამს, თუნდაც ეს  
მხოლოდ ამ იდეის უკვდავება იყოს, რომელსაც ის  
თავს სწირავს“.

ვაჟა ეგრისელმა საკუთარი ძალმოსილება  
იწამა. იწამა იმ რწმენით, რომ თვით გოლიათ მოებ-  
საც ძრავს ხოლმე. ამიტომაცაა, რომ მისი პოეზიის  
სახით ჭეშმარიტად ჰარმონიულ, ღრმა და ვრცელ  
სამყაროს ვხედავთ. გარდასულ დროთა საგმირო და  
საარაკო საქმეები ცოცხლდება პოეტის წარმოდგენა-  
ში და ჩვენც ფანტასტიკური სიამოვნების ბადეში  
გვახვევს. ამ მხრივ საინტერესოა დექსი, რომელშიც  
ბექა და ბეშქენ ოპიზარებია ნახსენები:

\*

„დასაბამიდან მიხმობს ზესკნელი,  
ზეცა ზღვაა და და  
გზას მივიკვლევ



მოგარის საჭეთი,  
რეგენ სიშორის ცივი ზარები...  
ვარსკვლავები კი –  
ბაჯაღლოთი არის ნაჭედი –  
ბექა და ბეშქენ ოპიზარების“.

ვახტანგ გორგასალი, რომელსაც პოეტმა „ცხრა-მხათში“ აუნთო სანთელი, ახლა იქ დააყენა, სადაც მას ერმა ძეგლი აუგო: „აქ ნადირობით დაღალული დგას გორგასალი და მტკვარი ფეხქვეშ გასწოლიდ როგორც მწევარი“. („მეტეხთანა“).

ამ პოეტურმა ქარგამ სკულპტორის ჩანაფიქრს უთუოდ მეტი მიმზიდველობა მისცა.

დიდი პოეტური ენერგიითაა დამუხტული ლექსი „ყინწვისში“, რომელშიც დიდთა მამულიშვილთა – მეფე თამარის, ანტონ გლონისთავიძის და ზაზა ფანასკერტელის უკვდავი სახეები აქვს წარმოდგენილი პოეტს მხატვრული სურათით:

\*

„დაგვნათის სახე თამარის,  
გვიფარავს ფრთა ანგელოზის,  
მიტომაც გამოვამტვრიეთ  
რვა საუკუნის –  
კედელი,  
გვხრავს ჟამი რკინის მკვნეტელი



და ჩვენ სიცოცხლეს დავეძებთ,  
წუხს ანტონ გლონისთავისძე  
და ზაზა ფანასკერტელი“.

\* \* \*

ვაჟა ეგრისელის შემოქმედების საუფლო უკიდე-  
განოა და უშრები. მას არასოდეს არ გამოელევა  
სათქმელი, თემა, აზრი, იდეა, რამეთუ მისი პოეზია,  
ორიგინალურია, რაც თავისთავად გამორიცხავს სტე-  
რეოტიპების გამეორებას...

„ვაჟა ეგრისელის ლექსების აღნაგობა, არქიტექ-  
ტურა თვისებურია, ორიგინალურია, არა პგავს დიდე-  
ბული ქართული კლასიკური ლექსების ფორმას,  
სხვანაირია ამ ლექსების რიტმი, რიტმთა თანაწყობა,  
მშვენიერია შედარებები, ეპითები, მეტაფორები, მაგ-  
რამ ამით იმის თქმა არ მინდა, თითქოს ეგრისელის  
ლექსები მთლიანად მოწყვეტილი იყოს ჩვენს წარმა-  
ტაც პოეტურ კლასიკას. არა ამ ლექსებს როგორც  
იტყვიან ხოლმე, ფეხვები მშობლიურ მიწაში აქვთ  
გადგმული, მხოლოდ სრულიად განსხვავებული, მრა-  
ვალფერადი და სურნელოვანი-ეგრისელისებური ყვა-  
ვილები აქვთ გამოსხმული“.

მაღალმხატვრული ლექსები მიუძღვნა პოეტმა  
სვანეთს, ბექოში მან დაინახა, რომ მზე ყივის და მა-  
ინც ბინდია, ბილიკზე ბიჭუნა მათრახით მისხვავს



დილის ნისლს უნდილს. ქართული ხანჯალი პკიდია, ახურავს სვანური ქუდი“. უშბასთან მან ყოფნა-არყოფნის, სიმაღლისა და სივრცის მონაცემეობის შესაძლებლობას მიაგნო და დაგვანახა, რომ „ლურჯი ფრთის ქნევით მიირხევა აქ განთიადი და სვანეთს უშბა ცად გაფრენია“.

ჭეშმარიტ დიდოსტატის ხილვაა ლექსი, რომელიც შემოდგომას ეძღვნება. პოეტი ხედავს თუ როგორ თიბავენ ბალახს და დამეებს სვანები და როგორ ელავს მზეზე ნალესი მთვარის მოხრილი ცელი.

ხედავს მზეს, ესმის „ლილეო“ და ნეტარებით სვამს გვიანი შემოდგომის სურნელოვან არომატს, ეს ხომ საოცარი ჰარმონია და მშვენიერებაა ბუნებისა და ადამიანისა:

„სვანები ბალახს და დამეებს  
ისევ თიბავენ,

შემოდგომა კი აღარ ელევა,  
მზეზე ნალესი ელავს მთვარის  
მოხრილი ცელი  
და გუგუნებენ მთები „ლილეოს“  
ენგურის ყელით“.

თანამედროვე ქართულ პოეზიაში ვაჟა ეგრისე-ლი ჩვენს წინაშე წარმოჩნდება, როგორც მხატვრუ-



ლი სიტყვის დიდოსტატი. აქ არაერთ ცალკეული მეტაფორისა და შედარების მოსმენა შეიძლება. მაგრამ მაინც საოცარია სვანეთისადმი მიძღვნილი ლექსების სიუხვე და მრავალფეროვნება. პოეტის თვალი ერთი წერილიაც არ შორდება სვანურ სოფელს, სადაც:

„შავი ღრუბლებით ცა ითალხება,  
ქვეყნის დაქცევას ქარი უჩქარის  
აგორებულან მთები ტალღებად,  
სოფლების თავზე დანიჭმის მუქარით.  
მაგრამ კოშკები ვის შეუშინდნენ,  
არც ქარი უკვირთ მათ, არც ბრძოლები  
და მისცურავენ ნისლში გულმშვიდად  
მარადისობის თანატოლები.

რა შთამბეჭდავად მდიდარი ნიუანსებითაა გახსნილი ამ ლექსის ორიგინალური იდეაა – სვანური კოშკები ნისლში გულმშვიდად რომ მიცურავენ მარადისობის თანატოლებია.

მხატვრული დეტალის მაქსიმალური დატვირთვა პოეტური შინაარსით, სივრცისა თუ დროის მცირე მონაკვეთზე დიდისა და ზოგადის მითვისება ვაჟა გვრისელის ოსტატობის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა.

სვანური ლექსების ციკლში პოეტურადაა აღდგენილი ჩვენი წარსულის კოლორიტული სურათე-



ბი, აქაა ისტორიის ცხოველი განცდაც და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვან სულიერ ტრადიციებთან უშუალო შეხმიანებაც: „ისტორიის დუმს მინდორი, ომის ცეცხლი პვლავ მძვინვარებს – იწვის თებე და ნიდონი, ლარსა, ლაგაშ-შუამდინარეთს, თითქოს ნადგინებია. წუხს წარსულის ქართან გემი, მეგრულად ბჭობს ნინებია, და სვანურად კართაგენი.“

მშობელი ხალხის ისტორია ვაჟა ეგრისელის შემოქმედების თავანკარა წყაროა, რასაც მკითხველი მუდამ მწყურვალივით ეწაფება დასარწყულებლად.

პოეტი დიდი გულმოდგინებით და რუდუნებით გადმოგვცემს ისტორიულ წყაროებს, ზედმიწევნით კარგად იცნობს სვანეთის წარსულს, მისი ლექსები-დან ხან ჟონავს, ხანაც აშკარა ნაკადად მოედინება და ცხადლივ მოჩანს მწერლის დიდი შემართება, შინაგანი წვა და გზნება, ლირიზმით გამობარი ღრმა ტრაგიკულობის განცდაც და ჯანსაღი ფიქრი ნათელ მომავალზე: „თეთრად ტივტივებს მთვარის კუნძული, მეტეორების არ ისმის ხმები და ვარსკვლავებით ცადახუნძლული, უეცრად ძირს რომ არ ჩამოვარდეს უშბას და თეთნულდს უჭირავს მხრებით.“

ვაჟა ეგრისელის ლექსის სტრიქონს თითქოს ალმური ასდის, ეს ალბათ ის შუქი და სითბოა რომელსაც პოეზიაში ვერაფრით ვერ მოიპოვებ, თუ სიტყვამ შთაგონების ცეცხლში არ გაიარა.



„თუ იქნებოდა საშუალება, როგორც მხატვარ-პეიზაჟისტს შემეძლო ვაჟა ეგრისელის ბრწყინვალე პოეტურ პეიზაჟებზე ასობით სურათი შემექმნა“. (6. ლიბრაძე, მხატვარი)

პოეტი მთელი არსებით, შინაგანი მზერით გასცემის რაღაც უსაზღვროდ სვანეთის დამეს:

„ო, ეს მოვარე დარდიანი,

აი,

ახლა

რომ თქვას კაცმა,

ფიქრთა ღრუბლით კი ჰგავს მგოსანს.

ის მახვშივით ზის

და მარცვლავს –

ვარსკვლავების კრიალოსანს.“

ვაჟა ეგრისელის „თეთრი სვანეთი პირმომცინარე დალივით“ და დილის სხივჩამდგარი სვანეთის მთაზე მიმავალი წყვილი ბილიკი თითქოს მართლაც ცისკარივით შუქმფინარობე...“

და მაინც სინამდვილის ნათელი განცდა მკაფიო-ოდ მეღავნდება არა მხოლოდ ვაჟა ეგრისელის პოეზიის დამახასიათებელ თავისებურ განწყობილებებში, არამედ იმ მხატვრულ ხერხებში რომლებსაც იგი წვეულებრივ სვანეთის პეიზაჟების დახატვისას მომართავს:



„აპა, სვანეთი –  
ცისკრის გადება,  
შორიდან ისე მოჩანს თეთნულდი,  
ვითარც იქსოს ცად ამაღლება“.

და მართებულად ბრძანებს პროფესორი მერი  
ბადრიაშვილი: „ვაჟა ეგრისელი მარტოოდებ თავისი  
ერის გულშემატკივარი არ არის, არამედ მასში გენე-  
ტიკურად არის მოცემული მსოფლიო მოქალაქის კო-  
დი, მისი სულიც კაცობრიობის ხანგრძლივი ისტო-  
რიის მანძილზე დაბადებული და გამქრალი ტკივი-  
ლების შეგრძნებისაკენ ისწრაფვის, მისი მონუმენტუ-  
რი ფერწერული სახეები ნებისმიერ დიდ მხატვარს  
შეშურდებოდა, რადგან ვაჟა ეგრისელი არ მიეკუთ-  
ვნება იმ შემოქმედთა რიცხვს, რომლებიც ესწრაფიან  
გამოგონილ სამყაროს იღუმალებას და აბსურდებით  
აბნევენ მკითხველს. იგი აქ, ნაწამებ მიწაზე ცხოვ-  
რობს. აქ განცდილი სიყვარულით სულდგმულობს,  
ამიტომაცაა მისი პოეზია ნაღდი, ამაღლებული და  
შესაშურად მართალი.“

და მაინც, ლექსი „მიხეილ ხერგიანი“, პოეტმა  
შეძლო ჭეშმარიტი რაინდის მიხეილ ხერგიანის ში-  
ნაგან სამყაროში შეჭრა და მისი სული შარავანდე-  
დით შემოსა, პოეტს ღრმად სწამს, რომ მიხეილ ხერ-  
გიანის გზა ვარსკვლავების სათებიდან სიცოცხლის



გზაზე – მარადისობისაკენ მიემართება. გმირი რაინდის შარავანდის შუქის თინათინობა გვნუსხავს, გვაოცებს საოცარი ბრწყინვალებით. პოეტს სჯერა, რომ მისეილ ხერგიანმა, როგორც შეუდრეკელმა და ამაყმა ვაჟკაცმა მხნედ განვლო გზა, ბრწყინვალედ მონადა ვალი ქავნის წინაშე, იგი წავიდა ჩვენგან, მაგრამ კვლავაც აგრძელებს სიცოცხლეს, რამეთუ „ფეხქვეშ გართხმია ამაყ ხერგიანს, მაგრამ უცხო სივრცით შებინდავს მომლოდინე მთები ანდების. მურე, ო, მერე, ვარსკვლავების საათებიდან მარადიული სიცოცხლის გზა აიღანდება.“

ვინ იცის, ეგებ, აქ ლექსის ჩემეული ინტერპრეტაციული ანალიზია, მაგრამ გულით მინდა აღვნიშნო, რომ არის რადაც ძველი, ნაცნობი, მარადი – გულის საკირეში ჩამწვარი სევდა ამ ლექსში, მაგრამ მაინც იმედი გმირის უკვდავებისა და პოეტმა შეძლო კიდევ წრფელი შთაგონებით გამოეხატა საქართველოს უმშვენიერესი კუთხის სვანეთის გულისფერქვა, სვანეთისადმი მიძღვნილ ლექსებში პოეტმა ქართველ მკითხველს აგრძნობინა თავისი დიდი სიყვარული და ზღვარდაუდებელი ერთგულება მარად მხნე და შეუპოვარი ქართველი ხალხის მიმართ.

და მაინც, „სამშობლო პოეტის აზრით დეტალიდან იწყება, კაცის გულსა და სულში ღრმად ფესვგადგმულ პეიზაჟიდან.



იდუმალებით შორეული ზარების ხმა თითქოს  
აფხიზლებს სევდიან სულს და მძინარ ჭრილობებს  
უდგივებენ პოეტის ფიქრები კი დღეებს აზანზარებენ  
და სივრცეებში ფრთებს შლიან. აქ კი მიზანშეწონი-  
ლად მიმაჩნია მთლიანად მოვიტანო ეს ლექსი:

„იდუმალების შორეული  
რეკენ ზარები  
და მიღვიძებენ  
მძინარე ჭრილობებს.  
ფიქრები დღეებს  
აზანზარებენ  
და სივრცეებში ფრთებს შლიან და  
კვლავ ყვავილობენ.  
მიხმობენ მთები:  
წყურვილი გვკლავს  
და ვიტანჯებით...  
ტირიან ზღვები: ჩვენ კი დელვა  
გვახრჩობს რა რჯული...  
შველა არ ძალიძის,  
მე ვარსკვლავთა ოქროს ჯაჭვებით –  
საქართველოს ცას ვარ მიჯაჭვული.

სიტყვიერი ფერწერა, მხატვრობა მუდამ იქნება  
ვაჟა ეგრისელის პოეზიის უდიდესი ღირსება.



## გიორგი სააკაძის პოეტური ააღმობია

ვაჟა ეგრისელის „მკითხველს საშუალება ეძლევა თვალი გადაავლოს ჭეშმარიტ პოეტისეულ მსვლელობას ამ უკიდეგანო მზისქვეშეთში და დარწმუნდეს იმაში, რომ შემოქმედს გრძნეული ხილვები თავის ათასფეროვან პანოზე ოდენ სილამაზისათვის კი არ შეუქმნია, არამედ უპირველეს ყოვლის ჩვენს შეგნებაში საწადმართო ფიქრთ აღსაძვრელად და ამქვეყნად წინაპართა კვალზე მოსული ქართველისათვის თავისი მამულიშვილური ვალის შესახენებლად.“

ვაჟა ეგრისელის პოეზიის მთავარი მამოძრავებული ძალა მამულის თავისუფლების იდეაა, რომელიც ამაღლებს და სრულყოფს პოეტის შემოქმედებას.

ვაჟა ეგრისელისთვის სიკეთისა და სამართლიანობის მაღალი ცის ქვეშ მუდმივად ისმის სიყვარულის ჰანგების ხმა, მამულისადმი უკვდავი საგალობელი და უფლისადმი აღვლენილი ლოცვა-ვერება.

ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ საუკუნეების განმავლობაში აღელვებდა და აოცებდა გამოჩენილ უცხოელ მოგზაურებს, მწერლებს, სწავლულებს ჩვენი მრავალრიცხოვანი ხალხი თავისი შეუპოვრობითა და სიმტკიცით. ისტორიას უყვარს შემთხვევები, უეცრობანი, სისასტიკენი, მაგრამ როგორც ბატონი აკაკი



გელოვანი ბრძანებს, აქვს თავისი რკინის ლოგიკაც, მეცნიერული თუ პოეტური. ამ ლოგიკამ იხსნა საქართველოც...

ქართველი ხალხის გმირული წარსულის ერთ-ერთი გამოჩენილი პიროვნებაა გიორგი სააკაძე, რომლის დვაწლი გამორჩეულია. იგი სიმამაცისა და სიდიადის, შეუპოვრობისა და მამულისადმი უანგარო სამსახურის განსახიერება, უკუთილშობილები და უმამაცესი პიროვნება. იყო მან დიდების ოქროს გვირგვინი დაადგა მშობელ ერს. ორი ვაჟიშვილი შესწირა და თავად ტანჯვის ეკლის გვირგვინი ირგუნა. მთელმა მსოფლიომ იცის გიორგი სააკაძის სახელი. გიორგი სააკაძის დამსახურება განუსაზღვრელია არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი ქრისტიანული სამყაროს წინაშე. ხშირად მისი ცხოვრება, პოლიტიკური მოღვაწეობა გაყალბებულია საქართველოს ისტორიაში, როგორც ხდებოდა ბაგრატიონთა დინასტიის და თავადიშვილ-ფეოდალთა ინსტიტუტის ზეწოლიდან გამომდინარე, რაც სხვადასხვა ისტორიულ წყაროებიდან ანალოგიურად შეჯრების შედეგად დასტურდება. ისინი ცდილობდნენ თავიანთი დალატი სამშობლოს წინაშე, უნიათობა, უგერგილო მეფობა გადაებრალებინათ გიორგი სააკაძისათვის, რაზედაც არსებობს ხელოვნურად გაყალბებული ურთიერთგამომრიცხავი ისტორიული მა-



სალები და ამასთან, ამ მასალებზე დაყრდნობით დაწერილი და გაყალბებული არაერთი ლექსი თუ ისტორიული ცნობა.

### ციალა მასაზი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა  
აკადემიის აკადემიკოსი.

ნაწყვეტი წიგნიდან – სახწაული და ფანტაზია  
(ფიქტური კაჟა ეგრისელის პოეზიაზე)

გაგრძელება შემდეგ ტომში



## ხეოვნება და ჰუთანებამონს

ათასეულ წლის მიღმიღან,  
ცაში მლოცველ  
პირამიდებს,  
მინდა სიტყვა ვუთხრა ამო,  
მაგრამ მაინც პირს ვარიდებ –  
ხეოფსეა და  
ტუტანხამონს.

1978

\*\*\*

მადლს გწირავ,  
მაცხოვარივით,  
რომ ამამაღლე შენს ცამდე –  
უფალო!  
აქ დასარჩენი,  
აღარა მეყო სიცოცხლე,  
თუმცა კი ბევრი ვეცადე...

1992



\*\*\*

დედამიწაზე რაც კი გზებია,  
იმათი ბოლო  
არის სამარე  
და საბუდარი ფერმებით ნამქერთა,  
სხვა გზას დაეძებო?  
ცისკენ სავალი –  
გზები იწყება აი,  
აქედან...

1967



\*\*\*

სიყვარულის გასახარად,  
ამ პარასკევს,  
ან იმ კვირას  
(სხვებს მოსწონთ თუ აღარ მოსწონთ)  
ჩამოვსხდებით –  
ხობის პირას  
და დაგანთებთ კოცნის კოცონს...

1956



\*\*\*

გულმა “სიცოცხლე”<sup>1</sup> როცა იხილა,  
სიხარულისგან  
იწყო კანკალი  
და ვნახე იგი,  
რომ არ ოკდება,  
გაუჯავრდი და მუშტი დაგპარი!  
ო,  
არაუშავს,  
ძაღლი კოჭლობით აღარ მოკვდება!

1968

---

<sup>1</sup> სიცოცხლე – პოეტის პირველი წიგნია.



\*\*\*

მოვარის კოშკიდან მღერის სინათლე  
და ბანს აძლევს ლამე  
გზიანი,  
ხმები ჩვენამდე ადრე მოდის,  
ხან იგვიანებს,  
რადგან ვარსკვლავთა სიმებიანი  
ცა —  
ჩანგია მრავალხმიანი...

1987



## რვაასი ჭლის მერვ

(საყვედური ქართველ მანდილოსნებს)

მმათა სისხლი სდის რუსთველზე  
“ქარავს”  
და მოღალატეს ვჭვრებ  
ყუთლუ არსლანს,  
ვჭვრებ შურს და მტრობას –  
უძველეს ცოლ-ქმარს,  
მაგრამ ვეძებ და არა ჩანს არსად,  
ვედარ ვპოულობ კრავაი ჯაყელს  
და ხოაშაქ ცოქალს.

1991



\*\*\*

როგორც მთავარანგელოზი,  
ემზადები ხარებისთვის,  
რის ყარიბი,  
რა ეული,  
ერეპები ხარებს –  
რითმის,  
სტრიქონების ანეულით.

1995



\*\*\*

თეთრი დუმილი ახურავს თოვლის  
და ტყის სიზმრებში  
სულ მარტოდ-მარტოდ,  
წევს მაფასავით შიშველი დელე,  
და ბუჩქებიდან –  
ბახილზე მარტის,  
ძლივს ანძრევს ყინვის გაფიჩხულ ხელებს.

1977



\*\*\*

ცა —

უზარმაზარი ქვეყანაა,

ვარსკვლავებით დასახლებული,

სადაც მთვარე —

მონარქია,

მეტეორები სინათლის ფრთებით —

ცივ უსასრულობაში დაპქრიან...

1964



\*\*\*

სიბნელის მიღმა ისეგ იელვებს,  
ალბათ პორები  
ცის დარბაზის კარებს  
აღებენ,  
დაღლილ სივრცეებს თვლემა ერევა,  
მთვარე კუთხეში მიმჯდარა და  
დედაბერივით  
ქსოვს და ქსოვს დამეს,  
გარსკვლავების ყაისნადებით.

1962



\*\*\*

დღეები როგორ გვხიბლავს,  
მარად დიმილის მჩენი –  
გადიდებული ლუპით,  
რა არის ყოფნა ჩვენი,  
წყალი,  
სულ ერთი ყლუპი.

1981



\*\*\*

არ იქნება მტკვარი დაშრეს,  
რადგან დამე მასში არ ჩანს,  
ჩემს ერუშეთს,  
ჭანეთს,  
შავშეთს,  
ოპიზას და ბებერ ანჩას –  
ძველის-ძველი ნამეხარი,  
გულს აჩნია, გითარც აჩნდა,  
მაინც...  
ხვალის მზეს შეპხარის...

1992



\*\*\*

თოვლში და პაპანებაში  
ივლის,  
ვითარცია უვლია,  
აღარ ყოფილა ეული,  
მდინარე –  
ზღვების სულია,  
მთებიდან გამოქცეული.

1984



## პვიპაროსი ჩემს ვანჯარასთან

ბაღში —

სინათლის სტვენით შაშვები,  
ცისკარს ადგომას ისევ ასწრებენ,  
ჩემს ფანჯარასთან მდგარ თეთრ  
კვიპაროსს,

სურს სიბნელეში  
რომ გაიპაროს,

მაგრამ,

ო,

იგი, დაბმულია,  
ჩრდილოთა ბაწრებით.

1976

\*\*\*

მარადებამს ღვთიურ ცეცხლით მოსილი,  
მბრწყინავი თვლებად

და მინანქრებად,

საუკუნეთა ნადავლს რომ წონის,  
აზრის გოდოლზე დანთებული –  
სიტყვის კოცონი

შენი, -

სამშობლოს ფიქრთა მთაზე,  
აღარ ჩაქრება.

1994



\*\*\*

ჩამავალი მზის ოქროს ყდაში ჩასმულ ზღვის  
დიდ წიგნს,  
ელვის თითებით მწუხრი გადაშლის  
და დაიფრქვევა ცის სურნელება,  
ტალღა კი ნაპირს,  
თავს უდებს ცივ და სცელ კალთაში,  
კოცნის და კოცნის...  
და გერ ელევა...

1978



\*\*\*

დამწუხებული გადასცქერის  
სივრცეს პოეტი,  
მარტოკა დარჩა,  
აქ წყდება ყველა გზა და ბილიკი,  
საით წავიდეს?!  
საფალი არ ჩანს.

1995



\*\*\*

“დიდუბეში იქორწინა, სადაც რომ  
საყდარი არი”.

როცა ჩავუვლი დიდუბის საყდარს,  
წარსულით სავსეს მომაწვდის ბადაგს,  
ის მეთორმეტე,  
ის ოქროს ხანა,  
და ვხედავ: დღეებს თამარ მეფის  
გვირგვინი  
აღგათ,  
დამეები კი –  
ვარსკვლავების კუბოში წვანან.

1989



\*\*\*

სიტყვას ვწევ...

რადგანაც

კავობს და ლაპარტობს –

მეზვრე თუ მეხრეა,

“ხრიკ,

ხვანჯ და მაკარტო” –  
მორკინალთა ხერხია.

1961



\*\*\*

გადაიყარეს ნისლები  
ჩემმა თმოგმა და ხერთვისმა,  
როდესაც ღმერთი ვახსენეთ,  
შორით ჩანს ციხე ქაჯეთის  
და...  
იქ გვყავს გამოსახსნელი:  
ტაო,  
ხანძთა  
და კლარჯეთი...

1979



\*\*\*

ადარც ლოცვა...

არც პურთხევა,

და არც შოთას ფარ-შიმშერი  
ვერ გვიცავს...

დრო გვაკრებინებს,

ეხ!

ნეტავი, რა გვიშველის,

დღე და დამის კუბოებში ჩაპეტილებს.

1993



\*\*\*

ქარიშხლით ოდნავ შეშფოთებული  
ზღვა –

ვარსკვლავებით მოყვავილე,  
მე მიჩანს ბაღად,  
სად ალიონი მზის სანთელს მიკმევს,  
და მე დღეების –

თეთრ კიბეებს მივყვები  
მაღლა,

წინაპრის სულით განათებულ მშობლიურ  
ცისკენ..

1966



\*\*\*

სიზმრის ქვეყნიდან მობობდავს  
(საწუთოს უკუღმართობით)  
და ლამე,  
როგორც ობობა,  
სიბნელის აბლაბუდაში  
ახვევს და ახვევს მნათობებს.

1987



\*\*\*

სიცხით და შფოთით ქანციმლეული

ზღვა,

ქარის სახელს –

წუხს და აბოდებს,

მთვარის სიზმრებში უღვთოდ მცურავი,

ტალღა მშობლიურს სტოკებს საბუდარს,

ეს პროტესტია

და სამდურავი.

1967



\*\*\*

შენ ძილს გიკარგავს,  
როცა მოგესმის

ხმა, -

შორეული უცნობი გზების  
(რაც აწუხებდა რუსთველს და ნიზამს),  
რადგანაც გაჩნდი ზეარსის  
ნებით,  
მიაყურადეთ, პოეტო! – იმ გზას.

1992



\*\*\*

დღისა და დამის კიბეებით  
მიიწევ ზევით,  
სადაც სიბნელით,  
შენი სიცოცხლის ნათელს ხურავენ,  
თუმც ცის ქაოსში არავინ არ ჩანს,  
და აღარ იცის რამდენი დარჩა,  
უკანასკნელ საფეხურამდე.

1995



\*\*\*

მთოვარით მომკილ დამის ყანაში  
რომ დგას,  
ღრუბლების ჩალის ძნებია,  
და ზღვაც ლურჯია, როგორც მელანი,  
შორით მოსული ტალღები კი –  
დაკარგული ჩემი ძმებია,  
ჩემს დანახვაზე მიტომაა  
ასე დელავენ...

1979



## მზე პირს იბანს

უცებ მოვარდა და ქარბორბალა,  
ეზოს კუთხეში  
ფოთლებს აქუჩებს,  
ბაღს ეშინია და ილურსება,  
დგას შუა დღე და  
მზის ჩაქუჩით,  
ცას –  
მიწას აჭედს წვიმის ლურსმნებით.

1971



## ჭიათურა

ციცქნა ბალახის ღერზე  
მცოცავ ჭიამაიას  
მზე ეცოდება:  
ვით აგაო ცის კიდეზე –  
ძმობილი ჩემი!

1967



## ო, ღმერთო!

მზის და სიცოცხლის იყვნენ მაყრები,  
ცა დაპნათოდეს –  
გმირ წინაპართა,  
ჩემს ყევარ ბიჭებს –  
ჯიქთა ნაშიერთ!  
მიეც სიცოცხლე თავზე საყრელად,  
ხოლო სამშობლოს სიყვარული,  
სულ მოაშიე!


1984



\*\*\*

წამომდგარან და მოხუცი მთები,  
სხვა სიხარულით,  
და დაუნჯებით,  
თავს იმშვენებენ თოვლის პარიკით,  
ვარსკვლავები რომ  
არ იყვნენ მუნჯები,  
ჩამოაქცევდნენ ცას –  
ლაპარაკით.

1966



## სიღვარი

დნება სანთელი –  
ფრთა იკაროსის,  
და იღვენთება ლოცვები –  
პვირის...  
წვიმს ცრემლი...  
და რომ გადაიკაროს  
ქართულ მრუმე ცას,  
არ უჩანს პირი.

1993



\*\*\*

ფეხშიშველა ციცქნა ბავშვი,  
დელვასთან რბის და  
თამაშობს...  
უკან დასდევს ბედისწერა,  
გაუფენია და  
აშრობს –  
ზღვა,  
ნაპირზე ქარის პერანგს.

1977



## პოეზია

ზოგნი მაცხოვარს მადლსაც სწირავენ,  
მე კი,  
სადაცო მაქვს ღმერთთან  
და უნდა ვიდავო,  
თუკი თვითონ არ შემეწეოდა,  
რატომ და რისთვის დამაჭიდა  
ქვას –  
საჯილდაოს.

1969



\*\*\*

მოვარდა ქარი და ზღვის ლილაში,  
 ღრუბელი ჩუმად ამოავლო  
 და მთად გაკიდა,  
 და შერცხვა მთვარეს,  
 ხის ტოტიდან მე რომ  
 მიმზერდა,  
 მერე იქლვა, და გაბზარულ ცის ლურჯ  
 სარკიდან,  
 უფლის ხატება გამოცისფერდა.

1961



## არაგველების ობელისკი პროანისში

როცა ობელისკს შევყურებ  
გმირთა,  
ვამბობ:  
სამშობლოვ!  
სიცოცხლეც და სიკვდილიც დირდა –  
შენთვის!

1995



\*\*\*

მოიშორა შავ კაბაზე –  
დამემ მთვარის არშიები,  
უცებ შეწყდა ვარსკვლავების  
ცვენა  
და ბნელ ქვაბში დამწყვდეულმა  
და მშიერმა,  
ამოუსვა ცის ტაფაში  
ელგამ ენა.

1965



\*\*\*

შიშის მესრებით შემოდობილ  
დვთის სამფლობელოს,  
უსასრულობის ციკ მინდორზე  
სქნელებად გაშლილს,  
იდუმალების ნისლი ებურვის,  
თუმც ერთი თვალის მოვლება ცაში,  
მირიადი ვარსკვლავია დავანებული.

1966



\*\*\*

კვამლი ცეცხლს უხმოდ,  
საშველად უხმობს,  
რადგანაც ახრჩობს სიშავე  
ბუხრის,  
ცრემლად იღვრება გულწედლი თხმელა,  
სოფლის შარაზე დაღოდავს მწუხრი  
და ეზო-ყორეს ბინდ-ბუნდით  
ქსელაგს...

1956



\*\*\*

მზე –

სახლობს სადღაც,

სიბნელის მიღმა,

მოვარე –

კი ახლოს,

და ღრუბლებს ცელავს,

რომ გაუბრწყინოს გზა მეტეორებს,

ცის უდაბნოში

ერთს დღე –

ჰყავს მცველად,

ლამე –

მეორეს.

1967



## ପରମାଣୁ

ଶୋଭନାଲୀ -

ଶୋଭନାଲୀ

ଫାଦର ଜିନାଥ,

ଓବ -

ଫେରାମିଟିଆସ

ଅନ୍ଧରାଜୀବ.

1994



\*\*\*

როდესაც დარია,  
მწერიდან – დილამდე,  
ერთი კი არა,  
ათობით,  
თითქოს სოფლის ცირებია,  
თვალებმობრიალე მნათობნი,  
მთვარის მრგვალ სარკეში  
იცქირებიან...

1968



\*\*\*

დიდ არს უფალი,  
იცის გამჩენბა,  
ამ ცისქვეშეთში რა და ვინ  
არი,  
ვის რა ეპუთვნის,  
და უხდის დმერთი ზოგ-ზოგს დინარით,  
ზოგს ჯოჯოხეთით...  
ზოგს სამოთხით...  
ზოგს ეპიუთით...

1994



\*\*\*

ჩამოწოლილი ეს სიმყუდროვე,  
მსუსხავს,  
თითქოსდა ჭინჭრის ფრთებია  
და... უშენობით უფრო ბინდდება...  
თუმც ჩემს სარკმელში იჭვრიტებიან:  
ჩემი სამშობლოს მთები –  
დიდრონი,  
მშობლიური ცის –  
ლურჯი მინდვრები.

1994



\*\*\*

ათასეული წლის იქით,  
გოლგოთას გზებით  
უვლია, -  
უკვდავებას რომ ერთვის  
და...  
პოეზია სულია,  
უფალი ქრისტე დმერთის.

1959



## ცისვარი ქვაგილები

დასასრულს მეოცისა და,  
დიდ ბჭესთან –  
ოცდამეტის,  
პირველ “ბატის ფრთას” იფერებ...  
და ვით ბინადარს მომავლის,  
ცისკენ გეწევა ცისფერი,  
ვით ტატოსა და  
ნოვალის.


1998



## მერანი და ფარისი

გამოქცეული ამაოებას,  
მირბის “მერანი”,  
მიპქრის “ფარისი”  
და მიელტვიან მყუდრო სავანეს,  
მიწა არ ყოფნით მათ ასპარეზად,  
დროს და სივრცის კი  
არ ჩანს სამანი...

1982



\*\*\*

იყავ მაღალი და უცოდველი,  
ვით თეთნულდი და  
კილიმანჯარო,  
მერე ჩურჩულით დაუმატა დედამ,  
მითხრა მე:  
- შვილო, ჩვენ ბოლოს მივადგებით  
იმ დიდ სამსჯავროს,  
სადაც ჩვენს სულებს განიკითხავენ!!!

1957



ALBERTSU

\*\*\*

ზღვის მოალერსე სანაპიროზე,  
ჩუმი ოხვრით და  
ტანის რხევით,  
როს ჩაიარა ნიავმა ნელმა,  
მაშინ ცის ფერმკრთალ სახეზე გაკრთა,  
უფლის დიმილი –  
ქლვა.

1966



\*\*\*

სანაპიროზე ნავების გუნდი,  
მლოცველებივით –  
მუხლებზე დგანან,  
ნელა იღება მიმწუხრის კარი,  
გემები ანძით –  
გუმბათოვან სამრეკლოს ჰგვანან,  
სადაც ქარები,  
თოლიების რეკავენ ზარებს...

1959



\*\*\*

მზე —

ცას შუბლზე,

ამჩნევია ნატყვიარად,

— ცეცხლით შემობურვილი,

ჭა —

წყლით არა,

პირთამდეა წყურვილით...

1962



\*\*\*

იმ სოფლად წასულო –  
უხმობს მამალი  
და ყივილით მადლს სწირავს  
გამჩენს,  
ღამის მკერდზე კი ცა – მითვლემილი,  
იღიმება და...  
ნელ-ნელ აჩენს  
წვრილ-წვრილ გარსკვლავებს, -  
ბეჭდის თვლებივით.

1971



\*\*\*

სასოწარგვეთას გაჰკივის რკინა, -  
მკერდს უხვრებს ბურდი:  
გულგახურებულს –  
წვეთი წვიმის,  
სიცოცხლედ უდირს.

1976



## ლტოლვა

უსაზღვრო ლტოლვას მეტეორების –  
ელვის მოვერცხლილ აღვირს  
უჭერენ,  
ცა უკავიათ მხრებით ტიტანებს,  
მე –  
დედამიწას ვებლაუჭები,  
ვნახოთ,  
მთვარეზე თუ ავიტანე.

1960



\*\*\*

ხსოვნის ლურჯ ფსკერზე მძინარ  
სუბარებს,

გაღვიძებას და ნათელს უბარებს  
და...

დაღუპულთა სულით გალეშილ –  
კოლხ – ზღვაოსანთა სიმღერები  
და იალქნები,  
დროის ბობოქარ ოკეანეში –  
ათასწლეულთა ფრთებს მიაქნევენ...

1965



\*\*\*

დღე და დამეს –  
ცა სწონის  
მზის და მთვარის სასწორით,  
და ჩვენს ყოფნა-არყოფნას,  
პინები კვლავ იქნევენ...  
ზღვა კი ამაყ ქარიშხალს –  
თავს ისევლე აწონებს,  
ნისლის აზღუდითა და...  
ზვირთთა მაღალ ჯიქნებით.

1978



\*\*\*

ათასფერი ეს სამყარო,  
მოკვდავთათვის არის ხარო,  
და საწუთრო შვება ასე:  
ვითარ უკვდავების წყაროს –  
დღეებს რომ  
ყლუბით გვასმევს.

1982



\*\*\*

აღმოსავლეთის –  
გარდისფერ ჭიშკართან,  
ეძახის მზე,  
როგორც ბოჩოლას,  
და დილის მოისმის ბდავილი,  
შორს,  
დამის მოქსოვილ გარსკვლავთა  
ბადეში,  
მოვარე მოყოლილა ღლავივით.

1957



\*\*\*

დაბადებიდან –

ყველა მოკვდავს თავსასთუმალთან,

შავითმოსილი არყოფნა უზის,

და რამდენ ყოფნას ჩაიკრავს მიწა,

ჰოი,

იმდენი ცოდვისგან უჩნდება კუზი.

1989



\*\*\*

დღეებს გაფრენილს უმისამართოდ,  
დაეწიოს და მტკერი  
ადინოს,  
მუსიკის ხმაზე ბახის თუ ვერდის, —  
ჩემის სახელი,  
ჩუმი ლანდივით,  
ხან წინ მისწრებს და ხან მომდევს  
გვერდით...

1994



\*\*\*

სიცოცხლე რომ ჰყავთ გადამალული,  
სახეს –  
ვარდებით იფაკლავენ  
და იმორცხებენ,  
სასაფლაოზე მდგარი ბორცვები.

1992



\*\*\*

ნაპირზე ყრია ქარიშხლის მზითევი...  
ოცია ნოემბრის,  
სცივა და სხივები  
ფეხებს აკლავ ითრევენ,  
მზეს გაუხდია კაბა –  
ვარდისფერი  
და ზღვაში შესულა მუხლამდე.

1976



\*\*\*

სიცოცხლე –

ქს არის იარა,

ხან ადრე,

ხან გვიან ხორცდება,

ცხოვრება –

ბედი და ცდაა,

მიწა კი არა,

პოეტის ოცნების

სამშობლო –

(ვაძ.

1989



\*\*\*

სიყვარულს ჰყავხარ ატატებული  
ცისფერ ხელებში,  
როგორც ბიგელებს,  
სათხო,  
კეთილი,  
და ცათა სწორი,  
და მიკვირს ზოგნი, რომ ვერ იგებენ,  
სიძულვილისთვის აღარა დირს დაპარგვა  
დროის.

1965



\*\*\*

მწუხარიდან –

დილამდე

მამა-დმერთი,

აშპარად და ხან ფარულად,

ოქროს ქვიშა ნარევ ვარსკვლავებს –

ცის დიდ სიგრცეში ცრის,

მზისა და მთვარის სიყვარული –

უსასრულობაა ცის.

1971



## სხვა არავერი

ათას ქარიშხალს გამოღწეულნი,  
გეღარ შეაკრთოთ ცეცხლის  
მეწყერმა  
და ტკაცუნებდნენ ზღვაში აფრები...  
რადგან წინაპრებს  
ხმალზე ეწერათ:  
სამშობლო –  
ღმერთი!..  
სხვა არავერი!

1961



\*\*\*

მკერდ ბუმბერაზს და მკლავებ დაკუნთულს  
(ვისი აკვანი ათასწლეულმა  
ველურ ქარების ხელით არწია.)  
ვჭვრებ კავკასიონს –  
მთათა ატამანს,  
და ჩემთან ერთად გაზაფხულმა აქ ააღწია,  
მაგრამ რად გინდა,  
მთის სიმდიდრე –  
თოვლის ვერცხლი,  
წყალს გაატანა...

1988



\*\*\*

ცა თითქოს ვეება ნაძვია,  
მაღალი და ტოტებ გაშლილი,  
მთიები ასხია გირჩებივით,  
და მთვარის კამპამა ნათელში:  
ოჯალეშის მტევანი –  
შაშვივით,  
მოჩანს თხმელის ტოტზე მირჩენილი.


1957



\*\*\*

დიდი წინაპრების ხათრით,  
ერთი არა,  
ასჯერ ასი,  
გიხმობს, როგორც თავის ნაწილს:  
მოკირწყლული –  
ფსკერი კათხის,  
მოლიგლივე ძირი –  
თასის  
და ჯურლმული – ჯიხვის ყანწის.

1959



\*\*\*

მიწას ვუყვარვართ,  
გულში იკრავს ჩვენს  
ნაფეხურებს,  
სურს მკერდზე აჩნდეს სამარადისოდ,  
რომ დასცემოდეს ზესთა სამყარო,  
მაგრამ ბუნება გვდალატობს და  
ბალახს გვიგზავნის,  
რომ ნაკვალევი ჩვენი დაფაროს...

1966



\*\*\*

სუნთქვა გიჭირს და ფეხზე ძლივს დგახარ,  
 დაღლილი ამდენ ომით  
     და დავით,  
 დიდი თუ მცირე ყველა ერთად  
     მეფობას ჩემობს,  
 რაღა ვქნა,  
     ჩემი მოგიკვდეს თავი,  
 კერაფერს გშველი, სამშობლო ჩემო!



\*\*\*

მზითვად მთვარის საყურე და...

აპა,

ჩემო,

მზის ბეჭედი,

ღმერთმა ხილვა თუ მაღირსა,

იმ შენს მუტრიბს გავუსწორდე,

ვით ავთანდილ

ჩაჩნაგირსა.


1962



\*\*\*

მარადებამს მოუსვენარი,  
პირ-სახე მოოქროვილი  
ზღვა –  
არის ჩემი ტოტემი,  
რომელიც დელვის ტოტებზე  
ზის მუდამ –  
გეზელ-ქორივით.

1972



## ქვიშები – 85

მტკვრის პირს ნიავიც აღარ ხმიანობს,  
მიწის ცხელ ქაბში –  
გინდა გაძლება,  
ცას გაგანია უკიდია და ცოცხლად იწვის,  
სუნთქვა შეკრული დგანან ნაძვები  
და იჩხვლიტება ივლისი თუ  
ნემსები წიწვის.

1985



\*\*\*

ადარ შორდება,  
 ზის სასოფუმალთან,  
 ყოფნა,  
 არყოფნას საკმეველს უკმევს,  
 შიშს კი ოვალები გვლავ აქვს სოველი,  
 ჯერ არ შობილა სიხარული  
 და მოკვდა უკვე,  
 გვ,

რა უღმერთოდ ხდება ყოველი.

1981

\*\*\*

დასავლეთისკენ მქროლავი

დრუბელი —

შავი რაშია,

რომელსაც ზურგზე ვარსკვლავნი

მოვარის უნაგირს ადგამენ

და დუშმორეულს,

ლაშიანს,

ცა უჭერს ელგის სადაგეს.

1968



\*\*\*

ზღვა ისე დელავს და ნერვიულობს,  
გულანშაროდან,  
თითქოს ელის –  
დიდ მეფე ფრიდონს,  
ცას მზის ბაჯაღლო გვირგვინი შვენის,  
მწვანე ნაპირთან –  
ყაყაჩოებით  
დაწიწნკლულ მინდორს,  
ფაფარაშლილი გასცერის ცხენი.

1967



\*\*\*

მზე რომ ამოჰყავს დამის უბედან,

უხსოვარი და...

დიდი ხანია...

გულზე აყრია წლები თოვლივით,

გავკასიონი –

ამირანია,

მაღალ ღმერთებთან ბრძოლით დაღლილი,

ისეენებს ახლა,

მხართებოზე წამოწოლილი.

1964



\*\*\*

ო, ეს შენა ხარ!  
ათასწლეულთა,  
უფრო შორიდან ფიქრად მოსული,  
ვითარც რონსარი, ვითარცა კაფკა,  
და,  
შენ ქართულის ბასრ ორლესულით,  
სხვა საუგუნის უღრანს მიკაფავ...

1979



\*\*\*

სანაპიროზე შავითმოსილი,  
ზღვაში დამხრჩვალთა დედებივით  
ისხდნენ ლოდები.  
ჩანდა მიდამო დამეწერილი და წალეპილი,  
და მაინც ერთი  
პატარა ტალღა  
ძლიგს ამობობდე ანაპირზე მაღლა  
და  
მე გამიწვა ფეხთან ლეპვივით.

1971



\*\*\*

სადღაც,

ხევს მიღმა ისმის “მთიბლური”

(ალბათ ოსირისს უმდევს ისიდა...),

და მერე გვიან მთამ,

ვით სპარსული

თავი,

ამოჰყო რძიან ნისლიდან –

გადაპარსული.

1956



\*\*\*

ეფოფრება და ედიდგულება,  
მაგრამ ზღვა  
ხმელეთს ვეღარ  
აშინებს

და გატრუნულა მწვანედ აფონი,  
ქარი არსენას ზომავს არშინით  
და ზგირთთა ფარჩებს  
ჩემსკენ მოაფენს...

1976



\*\*\*

როს ღრუბელი ელვა-ჭექით,  
გადაივლის მთაზე ობლად,  
მაშინ ცა მკერდს გადიღედავს,  
სხივთა ჩქერი ატრიალებს  
მთვარის ბორბალს  
და დილამდე დამე,  
ბნელში ნათელს დერდავს...

1965



\*\*\*

ყველას უკლებლივ –  
სიკვდილის შვილებს,  
გვეძლევა ერთხელ უომრად,  
უხმელოდ –  
სიცოცხლე, როგორც ძვირფასი განძი,  
და მოკვდავები “საწუთროდ” ვუხმობთ,  
ყოფნა-არყოფნის შუა დარჩენილ  
პატარა მანძილს.

1968



\*\*\*

წევს ოქროს სანაპიროზე  
ჩალისფერი თვე –  
ენგენის,  
და მზეს ჩამავალ ქუხილმა,  
გაუპო გულისფიცარი,  
ტალღები ძაბებს იცვამენ,  
შავ დრუბლებისგან შეკერილს.

1961



\*\*\*

გაზაფხულია...

და ალუჩები,

პონტოს ნაპირზე თეთრ აფრიანს ჰგვანან

ხომალდებს –

ლაზებისა და ჰენიოხების,

ხოლო ფაზისთან პატარა ბორცვი –

აკადემიის მოჩანს კათედრად,

სხვა არაფერი...

არც სასრული

და არც საწყისი,

ტალღა ჩურჩულებს: ეჭ, კოლხეთი,

რამ გაათეთრა?!

ნაპირი ტირის: ალბათ დარდმა ოქროს

საწმისის.

1958

\*\*\*

მზის ნაფეხურს შეშრობია  
და ვარსკვლავი არ ჩანს  
ისნის,  
სივრცე ღამით დაფარულა,  
მაგრამ მთვარე მკერდს შეიხსნის,  
გამოაჩენს ცას –  
ფარულად.

1986



\*\*\*

ტყეს რომ გადაურბენს  
ჭექა-ქუხილი,  
თვალს გააპარებს ფოთოლი ვერხვის  
ცისკენ,  
შიშსა და თრთოლვას ჩვეული,  
ხველებ-ხველებით მიმოდის მეხი  
და ანთებს ელვას,  
და მის შუქზე არჩევს –  
რჩეულებს.

1989



\*\*\*

მთათა ტყვეობას გამოქცეულები,  
ვით ქართვლის ასულნი,  
კლდიდან ცვივიან –  
ნიაღვრები,  
თითქოს...  
ქარიშხალს ზღვა –  
მოუყუდებია და...  
ეღვრება.

1968



\*\*\*

დამის უღრანში ნადირს ვხდიე,  
და ბნელს ვეომე,  
ელვის ნათელზე –  
ენგურწყალში მობანავე  
დალი დავლანდე  
(წამს თავი მივეც ტყეებს უსიერს),  
და ახლა ვშიშობ:  
ვით არტემიდებ აქტეონი –  
შვლად არ მაქციოს და ძაღლები  
არ მომისიოს.

1960



\*\*\*

მიწის სითბოს და სიშორეს,  
დარდობს ცა –  
გადანაწვიმი,  
კვლავ გადადიან “ალავერდს”  
მოები  
და მოვარე მოხრილი  
ხელში უჭირავთ ყანწივით.

1982



## გელი ელვისიონის

ერთი ჩამოქროლება –  
სულს მზით გამიმსჭვალავდა,  
კოჯრის ცივი ნიავის  
და მთაწმინდის სიოსი,  
ჩემი პარას ჭალის და,  
გელის ელვისიონის.<sup>1</sup>

1989

---

<sup>1</sup> ელვისიონის ველი – ძველი ბერძნების წარმოდგენით მოთავსებული იქო სამყაროს დასახრულს: “უნეტარესთა კუნძული”.



\*\*\*

ცის თვალში კიდია  
მზე –  
ატმის ტოტივით,  
გალობენ შაშვები  
ტყეს –  
ეგალ-ბარდიანს,  
ძველ-ძველი მოტივით.

1967



\*\*\*

პარას ჭალაში ირევა ხალხი,  
ხობისწყალი კი თავს  
დამბას ახლის,  
ღობის ძირს ია ემდურის გამჩენს,  
რადგან უღონოს და  
ფეხმოღრუცილს,  
ქვეყნად ჩემს გარდა,  
არავინ ამჩნევს.

1958



\*\*\*

ხარისხთვალათი სავსე მინდორი,  
წლებმა რა უცებ  
გადაირბინეს,  
დღეებიც რბიან და მერკიანა,  
შენ თავზე გადგას ეპლის  
გვირგვინი,  
გზაც გიძევს შორი და ეპლიანი...

1968



\*\*\*

მისი სული მექოლიაა,  
გაზაფხული რომ მიაქვს  
რია-რია,  
კვერცხისა ჭიანურის და ფანდურის,  
აპრილის ბალახის –  
შრიალია,  
ხსოვნის პრერიებში გაფანტული.

1968



\*\*\*

მწარე ყოფილა ცხოვრება თურმე,  
 მწარეც და ბნელიც  
 და ვერ შველის ქრისტე  
 და მითრა,  
 თუმც შენით მაინც ჩავატან გემოს,  
 აბა რაღა ვქნა,  
 მეტი რა გითხრა,  
 – მიყვარხარ, ჩემო!

1984



\*\*\*

სიცხის საზომი უჩვენებს ორმოცს,  
შავი კარეტით მივყავარ  
სიცხეს,  
და შუბლზე სიმწრის მაშრება ოფლი,  
თითქოსდა ცხელი გადამდის ლავა,  
ოღონდ მოვმორდე ამ წუთისოფელს,  
და სულერთია საითაც წავალ...

1993



\*\*\*

ღრუბლებში მქროლავ ქუხილის ულაყს,

ცა,

კედარ უჭერს ელგის გრძელ

აღვირს,

თუმც ვარსკვლავები –

სანთლის ზარებს არისხებენ...

შორიდან მოსული ქარიშხლები,

ზდვების ერთ აღელვებად არ დირს.

1989



\*\*\*

ოდითგან ასეა საწუთოო:  
სიცოცხლეს გვაწყურებს...  
გვაშიებს...  
ჩვენ ვუსაფრდებით ეხში და სანგარში –  
მარადისობის მოდგმას და  
ნაშიერს,  
მაგრამ იქაც კი გვისწორებს  
ანგარიშს.

1989



\*\*\*

მგოსნებს წამით რომ არა შორდება

მთვარე –

ფიქრია –

ცის იდუმალ გულში ნადები,

ხოლო ვარსკვლავთა მხურვალე და უმანკო

სხეულს,

გამთენისას ლამის კაბა ტანზე ადნება.

1979



1609 ფლის 27 ივნისი, ტაშისპარი

1625 ფლის 25 მარტი, მარტყოფი

ქართლში მოლას ხმა არ ისმის

და კახეთში –

არ ჩანს ელი,

საქართველოს დგას ცისკარი,

ლომბულ სააკაძეს ელის,

მარტყოფი და ტაშისკარი.

1989



\*\*\*

ცას მოწყვეტილი მეტეორიგით,  
ჩაუქრობელი წვით და  
გოდებით,  
რის მსგავსი ქვეყნად არვის უხილავს:  
დღითი-დღე უფრო  
გიახლოვდებათ,  
უუშორესი ჩემი ქუხილი.

1998



## ცისფერი

თუმცა სილურჯის,  
ნათხოვარი მოსაგს  
სამოსი,  
ფერთა მეჯლისში მეუფებას მაინც  
იფერებს,  
მიწის სიშორით თვალი ევსება  
და სიჩუმეში მდგარი ცისფერი,  
ობოლ მოგარეს კვლავ ეალერსება...

1979



\*\*\*

ზამთრის კარები მიიხურა  
თებერვალმა  
და დნება თოვლი  
კასპსა და ხოვლეს...  
პირველ სიხარულს პპირდებიან იები  
მპოვნელს.

1978



## შრომუნო თოვა

უკვდავების აღარ გჯერა,  
ორმოცდაათს თუმც გამოცდი,  
მაინც მისმა მოგძლა ეჭვმა,  
შენს სიტყვის რაშს –  
დრო გამოცდის,  
მოთმინების ჯაჭვს რომ ღეჭავს...

1991



\*\*\*

მიწის დუმილში იპოვის ბინას  
მარცვალი,  
როგორც სიცოცხლის  
წყაროს,  
რაც გვეხარბება ჩვენ მოდგმას კაცთა,  
სიკვდილი დუპავს ჩალას და  
ტაროს,  
მაგრამ გერაფერს გერ აკლებს მარცვალს.

1974



\*\*\*

ზაფხულ და ზამთარ,  
შინ და გარეთ,  
ყველგან და მუდამ,  
მე საქართველოს ცა მახურავს  
ნამუსის ქუდად!


1997



\*\*\*

ერთხელ მაინც რომ ეხილა,  
ცისკენ ხელგაწვდილ  
ბაბილონს,  
უფალი მას მოერიდა,  
თუმც გედი ერთხელ მღერის და  
ბამბუქიც ერთხელ ყვავილობს.

1988



\*\*\*

სწორია,

რომ ამბობ, შენ გილგამეშივით:

“სიკვდილს ნუ ვიხილავ,

რისაც მეშინის!”

რა დღე და რა ხვალე,

შენს კართან იძღავლებს,

მოგირდვევს სახლს ნაშენს –

ქვითაც და ტუფითაც,

“აბა თუ იფხიზლებ ექვს დღეს და შვიდ  
დამეს”,

ვერ გაექცევი ძილს –

სიკვდილის ტყუპისცალს.

1972

\*\*\*

იქნება...

დმერთმა ვედრება ისმინა:

წყალობად გამოგზავნილი –

მოვიდა წვიმა,

და ზეცას –

ელგა დააჩნდა ბზარიფით.

1957



\*\*\*

ქარი კი არა,  
ჩემი ფიქრია,  
დაგტრიალებთ და თავს რომ  
ბეჭდებათ,  
დიდგორის გმირნო –  
ნათესავნო მისხის-მისხიდან,  
დღეს,  
თქვენი ერთი ხმლის გაელვება,  
აწ დამარცხებულს,  
სირცხვილიდან,  
როგორ მისხნიდა.

1994



\*\*\*

ხტუნვა-ხტუნვით მიჰყვებიან

ბორდიურებს და

ქვაფენილს

წვიმები...

და, ქალაქელებს აწვალებენ,

შავ ღრუბლებს კი ისევ შვენის –

ელვის

ქერა ნაწნავები.

1975



## გალაკტიონს

მთაწმინდა შენოვის ქველავ არის –  
ჯომოლუნგმა და ხეოფსიც,  
და ისევ ისე ერთობი:  
შენ საუკუნით –  
მეოცით  
და შენის ერთადერთობით...

1966



\*\*\*

ქარ-მეხით დაჭრილ-დახოცილები,  
ცის შავ მინდორზე –  
ყრია ღრუბლები  
და ვარსკვლავები ნაიარევ  
შუბლებს უხვევენ,  
ზღვა კი ლოცულობს...  
ზვირთთა ხელებს  
მაღლა აღაპყრობს,  
მერე ეცემა ნაპირზე და... ტკივა მუხლები.

1961



\*\*\*

დარღით და ფიქრით შემობურვილი,  
დგახარ მიმწუხრის  
მიმქრალ კარებთან  
და რომ აყოლებ ნაღვლიან ღიმილს,  
ის მზე კი არა  
(არც სხვა პლანეტა),  
შეხე,  
ხის ტოტზე რომ მიცოცაგს,  
შენ ხარ ის მღილი.

1979



\*\*\*

ეპა,

რამდენი წელი გავიდა,

და მაინც ვეღარ შემიხორცდა

ძველი იარა,

ჩემს ლამაზ დღეებს, რომ ახლდა ელდად,

მუე ჩადის ახლა,

იქნებ შენთან გამოიაროს

და ხსოვნის ნათელს ჩაგატან,

დედა.

1984



\*\*\*

ვერა და ვერა,  
ვერ შემაჩვიეს,  
მონურ ცხოვრებას  
და თავის დახრას,  
მორჩილების და მოთმენის აღვირს,  
ღმერთო, შეგცოდე!  
ო, ასეთ ხალხთან,  
არა, სიცოცხლე  
სიკვდილიც არ დირს.

1994



\*\*\*

ბოლოს,

როცა ცის ლურჯ ფხერზე,  
დღის ნათელი ზღვა რომ დაშრა  
და მზეც გაიპარა ურცხვად,  
მაშინ მთვარე,  
მნათთა ლაშქარს,  
თამარივით თბილისში კვლავ შემოუძღვა...

1977



## ჰიანდის ტყე

ყვარლის მთიდან აღარ უჩანს  
კახეთს კიდე,  
არც სამანი,  
ტყე გუგუნებს ჭიაურის,  
ალაზნის ველს,  
ალაზნი,  
უჭირავს ვით ჭიანური.

1961



\*\*\*

ღვთაებრივს,

მაგრამ ელვით დასერილს  
სახეს –

ცა მალავს ღრუბლების ჩადრიოთ,  
მზე ღამის გზებით აღმოსავლით  
მიეხება...

ზღვა მთამსვლელივით –

სალ კლდეებზე  
ადის და ჩადის,

საკუთარ ქერქში ვეღარ ეტევა...

1978



\*\*\*

მთვარის ჩანგოსან ძვირფას პოეტებს

და ვარსკვლავებში მფრინავ

ელიტას –

გადაუმსხვრია ძვლები ლავიწის,

და რკინისმკვნეტელ სიკვდილს ხელიდან,

ათასში ერთი თუ გაუსხლტება,

.....

მე, კი... რა გიცი?!

1995



၁၃၁

ასეა,  
ბუნებას კი არა,  
უკერავერს ვაძრალებთ დროს,  
რომ გვიშლის ფიქრს,  
გულში ნადებს,  
სიცოცხლე,  
სიკვდილს რომ შობს,  
და დღე,  
ღამეს რომ ბადებს.

1976



\*\*\*

ბნელა და სანაპიროზე  
თავს იწონებენ  
აპრილთან,  
ნეშომპალა და ნაფოტი,  
ზღვას სძინავს ღამის ნაპირთან  
და ქარიშხალი  
აბოდებს...

1978




\*\*\*

ၬ၂,

სიმწვანეს რომ აშრიალებდა,  
უეცრად მოსჭრა მწუხერის  
ნაჯახმა  
და თოლიების ამოქროლამდი,  
მზე ჩამავალი,  
ღრუბლების რიცს  
კვლავ დაეჯახა  
და ჩაიძირა, როგორც ხომალდი.

1979



\*\*\*

ცხრათავიანი დევების –  
შიშის ზარი და დამრბევი  
(როგორც ის დიდი ფშაველი),  
ქვეყნად რად გაჩნდი ნეტავი,  
საუკუნეთა – დამფუძნელი  
პოეტი –  
რკინისმკვნეტავი.

1966



ა. ა. ს.

\*\*\*

...მიწის დილეგში ყოფნა მობეზრდათ  
 ზვირთებს და თავებს  
 კლდეებს ახლიან  
 და სურთ გაქცევა იქ, სად მნათთა  
 სამოსახლოა,  
 და აჯდებიან მთებს უნაგრიანს  
 მზე აქ ჩამოდის,  
 ცა სულ ახლოა,  
 ზღვა –  
 ქარიშხალის ყრუ ბუნაგია.

1990



\*\*\*

ვით დიდოელი ლეკები ნაბადს,  
ჩვენ “ჩვენმა ძმებმა”  
ისე გაგვთელეს,  
მშობელ მიწიდან ამდენ “აყრებით”,  
თუ ასე იქნა,  
არ გვექნება მალე ქართველებს,  
ქართული მიწა თავზე არა,  
გულზე საყრელი.

1994



\*\*\*

ოქრი ეცვალა უეცრად ტაროსს,  
წვიმა მოდის და  
ცივი ქარია,  
ოქროს თმიანი სიმინდის ტარო,  
მშობელს გულ-მკერდზე  
ისე ჩაკვრია,  
ვით ყმა იესო, დედა მარიამს.

1978



\*\*\*

აიეტივით მზის შვილი,  
ნაპირებიდან ფაზისის,  
კვლავ ოქროს ვერძებს მოდენი,  
შენს ბედს ბეჭედი აზის მზის  
და...  
ქვეშ ხელს აწერს  
ლ-ო-დ-ი-ნ-ი...


1991



\*\*\*

რომ ვთქვა გმირთა ამბავი,  
კიდევ ცოტა მაცალე...  
მზის ემბაზში განმბანე,  
ვარსკვლავებში გამრიე!  
მერე მოხდეს რაც არი!  
დიდო მიქელ გაბრიელ!  
დიდო მიქელ გაბრიელ!

1995



\*\*\*

ქართველი, გადამთიქლის

წინ,

ქედს არასდორს იხრიდა...

და მიტომ მესმა ციხიდან!

ჭიხვინი სიკვდილის ცხენის,

ქვა და ლოდების –

ცვენის ხმა...

1993



\*\*\*

დამსხდარან ღრუბლების დევები,

და კავკასიონის მთებს –

ბეჭად

ჭრიან ელგის დანით და... იყოფენ,

საუკუნეები ასხია ქერეჭად,

დრტვინავს ზღვა –

ცალთვალა კიბლოპი.

1967



## ამირანა გამოჰვდა

სამყაროს რომ სიობოდ უვლის

მზე –

უქრობი ცეცხლის გული,

კაცო-იმედად,

ეშმაკო ელდად,

ხალიბური ფოლადისგან

ამირანმა გამოჭედა!

1964

\*\*\*

სამშობლოს ლაჟვარდ ციხეგენ მზირალი,  
მფარველი მიუსაფართა,  
ეს მთები კი არა,  
მუზებია,  
რომლებიც მოვლენ და ჩემს ობოლ  
საფლავთან  
თეთრ სისპეტაკედ –  
აიტუზებიან.


1989



\*\*\*

დამწუხერდნენ მთები...  
და სივრცეებმა,  
გათენებამდე,  
უკვე მეასედ,  
კვლავ აიფარეს ნისლის მანდილი,  
მაგრამ ნათელი არის დღესავით,  
რომ ცას უბეში,  
მთვარე უდგვს კონტრაბანდივით.

1960



\*\*\*

მარადის მოუსვენარი,  
ტალღა ხარ –  
ყოფნის მდინარის,  
ოცნებავ ჩემო,  
საწყალო,  
კვლავ გელის სახემცინარი,  
ცხრა მთა,  
ცხრა გელი,  
ცხრა წყარო!

1994



\*\*\*

ვითარც ერთ დროს თათარმა თუ ოსმალომ,  
შენმა “ღვიძლმა” ქართველებმა  
დაგჯეგეს  
და გაგთელეს სიძულვილის ფლოქებით,  
ჩემო!  
შენში,  
ცოტნეს სული ბობოქრობს  
და კერასდროს გედარ დაგახოქებენ.

1992



\*\*\*

თოვლის თეთრი ქათიბი და  
ყინვის დაგრეხილი რქები  
ამშვენებს ქედს, ვით ერკემალს,  
და ეს ქარიც,  
ღრუბლის ფარას,  
მთვარის კომბლიოთ,  
მთათა მიღმა გადარეკავს...

1978



\*\*\*

სულთა მარადისობას –  
დრტვინავს ზესთა სამყარო  
და ცისფერი ქარები პგვანან  
მახვილს ალესილს –  
მთვარის შესამოსელით,  
ორფეოსის ხმა მესმის,  
ზარი არეოპაგელის,  
და “პასუხი ექსუთა...” –  
წმინდა გრიგოლ ნოსელის.

1959



## სანთელი

შიშით ნაკერი მოსავს ლოცვები  
 ტანზე,  
 ცამეტი რწმენის ცეცხლში  
 მბორგავ ასურის  
 და ღვთის ტაძარი აღარ ეთმობა,  
 დნება,  
 და დნება ზეციერის ხილვის  
 სურვილით,  
 თავს ხრის წინაშე –  
 მის ღვთაებრივ ერთადერთობის.

1976



## სტამბოლში

სუნთქვა მეკვრის...

და ჰაერი არ ჰაერობს...

ეჭ, რამდენი დავახანე

და ვერ ვნახე, ვერც სტამბოლი, ვერც  
ქაირო

და ვერ შევხვდი შაჟებსა და ამაყ ხანებს,  
თუმც აქ,

გათი სუნთქვა ისმის

და მე ვხედავ ფიქრით, ვიდაც საჭურისი,  
ვით დარაჯობს ქართველ ქალთა  
ჰარამხანებს.

1981

\*\*\*

ფრიალოზე დაკიდული,  
ვით არწივი,  
ოლე წიგის,  
არც ქაცი ჩანს, არც უფალი,  
წუხს ზღვა  
მილებზ-მოლებზილი,  
ვით დევების ნასუფრალი.

1958



## გულგანი

მიწაში გმარხავთ მკვდარსაც,  
ცოცხალსაც,  
ძაღლს და მამაძაღლს...  
მტყუანს და მართალს,  
ჩვენს უბედობა-ბედნიერებას,  
მერმე ბეჩავნი,  
ვულგანად ვხმობთ,  
ჩვენს საწყალ მიწას,  
ამ ყველაფრისგან, როდესაც მას გული  
ერევა.

1989



\*\*\*

ბოლო ისიც იქცა მიწად,  
გინც ომებით ცას  
არყევდა...  
ეს, მოკვდავთა მოლოდინო!  
დამარცხების მტვერ წაყრილი:  
ვის მიელის:  
ვატერლოო,  
კოწანისი,  
და ბოროდინო.

1993



## ზერისცვალობა

აგვისტოში, —  
ფერცველობას,  
დედას ხსოვნის ედგა ტაბლა,  
ძვირფას, მიცვალებულთ სულებს —  
მუხლმოდრექით,  
ციდან დაბლა —  
მოუხმობდა ჩუმი ლოცვით,  
აყდერებდა ცრემლის ტაბლაკს.

1962



\*\*\*

დილიდან –

მწუხამდე,

დარში თუ ავდარში,

ზღვა სულ დალატშია (ვით “ბაღვაუშა”,

დიდ მეფე დავითს),


აღარ ცნობს ხმელეთს...

და მიტომ დიდგულობს –

ქარი ჰყავს დაბმული,

მტრისას თუ აუშვა.

1971



\*\*\*

ზამთრის წესილით ფერწასულები,  
თუ სურნელოვან მზით და  
აპრილით –  
მთვრალი დღეები სადღაც მიდიან...  
და... ჩვენი ყოფნა –  
არის მშეოთი ზღვის ზედაპირი,  
არყოფნა –  
ფსკერი,  
სად მარადის სიმშვიდეა.

1966



## როგორც მიშეღანჯელო

არარაობის კართან ვცემ ბოლოთას

და სიცოცხლეა ჩემთვის

სასჯელი –

ჩუმი და მორცხვი.

გეც

ისე, როგორც მიქელაწჯელო,

“სიკვდილით ვცოცხლობ!”

1994



\*\*\*

აი,

ასე ხმაშეწყობით,

არც მეტი და არც ნაკლები,

დილიდანვე ცრიდა,

წვიმის ციცქა ეშმაკები

ხელუნვა-ხელუნვით

ჩამორბოდნენ

ციდან.


1978



\*\*\*

შორიდან ნგრევად მოვარდნილი  
 ქარი თავხედი და  
 აშარი,  
 შიშის და ცეცხლის მოესველია,  
 თბილისის დამეს,  
 მაჭად-ხანის  
 ლაშქარიგით,  
 ციცინათელები შესევია.

1977



## გევევი

“ხრმალი გავტყორცნა, გადვიჭერ  
ვეფხი შევიპყარ ხელითა”.

შოთა

ცხრაას ოცდაორში ვეფხვი რომ  
მოკლეს ჩვენს თბილის  
ქალაქთან,  
იქნებ ტარიელს გაექცა,  
მოვლო ქვეყნები ინდოთა,  
რვაასი წელი ეხება  
და ალბათ მერე რუსოველის  
მზის ქვეყნის ნახვა ინდომა?!

1981

\*\*\*

ფერად-ფერადი ყვავილებით  
და გვირგვინებით,  
მარადებამს მორთულს  
და თაგმომწონეს –  
სიკვდილს,  
მოკვდავნი,  
ხელიდან ვეღარ უსხლტებიან,  
სასაფლაოზე ანთია მიხაკთა კოცონი,  
რომელსაც ალბათ,  
მიცვალებულთა სულები  
შემოუსხდებიან.

1994

\*\*\*

არ ვიცი რატომ!

არ მიფიქრია სიკვდილზე

ადრე

(არაა მასზე ფიქრი იოლი),

ასფალტზე უცებ დაენარცხა ფოთოლი

ჭადრის,

და,

მე, რატომდაც მომაგონდა

გალაპტიონი.

1976



\*\*\*

ლმერთებმა ზეცა მეხით დარაგვეს,  
როდესაც ქლვით გაეკიდა  
ლრუბელი ლრუბელს,  
და მერე გვიან,  
ცის უდაბნოში, როგორც არაბი,  
მოვიდა ლამე,  
და ქვიშისფერი ვარსკვლავებით –  
აივსო უბე

1977



\*\*\*

იწვის და ბობოქრობს შავი ზღვა,  
ცეცხლში იძირება ქერჩი  
და...  
უცებ სამყარო გარინდდა:  
შევეურებ სტალინს,  
რუზველტს და ჩერჩილს,  
ნელა  
რომ გადმოდიან ეკრანიდან.

1975



\*\*\*

სტამბოლისკენ მიმავალი,

სვლას უმატებს ჩვენი გემი,

თითქოს ქართან დაასმინეს...

ღამით,

მთვარე სხივთა ხემით,

უკრავს დაღლილ ზფირთთა სიმებს.

1968



## პოეზიის არავითი

ძვ,

პოეზიის არწივი,

პვლავ ფრთაგაშლილი

წინ მიზის,

და ნურვინ მნახოს შემქრთალი,

თუმცა ფშაველას –

დიდი მზის,

სხივი ვარ, ისიც ფერმერთალი.

1995



\*\*\*

ნინგელა ალუჩამ პირველად გაბედა  
შეფარვით... და მაინც აკვირდება:  
მარტის სიფრიფანა კაბიდან –  
პატარა ალუბალს  
რომ მოუჩანს  
პატარა ძუძუები – კვირტები.

1959



\*\*\*

ფიფქები ციდან მოდის ღიმილად,  
მოდის სიმშვიდედ  
და არ იღევა  
და გულშავ მიწას თეთრად ებურვის,  
თოვლი –  
ტყემლების შორეული სიყმაწვილეა,  
ლამაზი,  
მაგრამ დაბერებული.

1987



\*\*\*

(օշմորյեսկա)

մովալ...

ճճղեծ մովելազ...  
զովլո աևյ պարագաց,  
զնանյ տոյ առ մոյելա,  
ոմ տերմա,  
թուժը մա,  
տեօս րյօնմա մոյելամ.

1995



\*\*\*

ათას ქარიშხლით გადაჯეგილი

ზეცა –

სამოთხის ედემ-ბაღია

და მთვარე მოჩანს, როგორც ნუგეში,

ზღვა,

ცოცხალ-მკვდარი ასვენია

მკვდარ სიჩუმეში,

და გარსეკვლავები გულზე სხივთა

ცრემლებს

აღვრიან...

1987



## თმობვის ციხე

ნისლის თეთრი ფარჩეული  
აფენია მთას –  
ასფენად,  
მაგრამ ისე მოჩანს თმოგვი,  
თითქოს კლდეზე ასაფრენად –  
ფრთა გაშლილი იჯდეს ორბი.

1991



\*\*\*

მტრის გასახარად ქართული ცის ქვეშ,  
წელია ექვსი, რომ ჩამოდგა შიში  
და გვალვა,  
გადაუხდელმა შემაწუხა გამჩენის ვალმა,  
ფიქრებს ჩაუდგათ მუხლში კანკალი:  
ვაჟა!  
ყოველი მორჩა,  
გათავდა!  
მაგრამ იხარა სიტყვამ მაინც და  
დათავთავდა,  
თუ დიდი არა,  
მაინც გელის მცირე სამკალი.

1995



\*\*\*

ელვის აბრეშუმის არტახებით,  
ფუმფულა დრუბლებში  
ჩაკრული

მოვარე —  
ათასწლეულის ნარწევია,

ცის ბედი —  
ასოებით გაკრულით,  
გარსკვლავებს —  
ხელისგულზე აწერიათ.

1966



\*\*\*

ავლავ აშრიალებს თქვენს სახელს პონტო,  
ათასწლეულთა წვიმა და ქარში,  
ქვეი, ფარტაზ!

გუმბაზ და წათე! –

უამი ვერ აქრობს ჩაუმქრალ ნათელს,  
კოდხეთის ცისქვეშ რომელიც დაგრჩათ!

1977



\*\*\*

ცის ერდოზე გადმომდგარა,  
 და ცისარტყელას –  
 ჩრდილოეთიდან ვიდრე დასავლით,  
 ვარდისფერებში გაუშლია მკლავი,  
 სამ მკლავი,  
 შავი ღრუბლების ბალდახინზე ზღვა  
 ასვენია,  
 ალბატროსები დაკიგიან და  
 თაგს აკლაგენ.

1984



## ლეგენდებში მშობა დაჭირ

ლეგენდებში მშობა დალიმ,  
ზღაპრად მზრდიდა სულუკმახი  
და სამშობლო მქონდა მუდამ  
ციხე-კოშკად ცამცუმისი,  
და რაც დმერთმა მიკარნახა  
ოქროა თუ უზულთუნი,  
არა რაა,  
ჩემო,  
სხვისი,  
სულ ჩემია, სულ ქართული...

1995



\*\*\*

ცის ჭიუხებში არ ჩანს მოიები,  
ქურციკებივით და არჩვებივით,  
დუმს გაუვალი დამის უდრანი  
და დილას ბლავის შიგ ჩარჩენილი –  
აღმოსავლეთით მიმავალი მზე –  
მობუდრავე.

1979



## გაშას გალი

ვაჟაობა ვერ გავწიე  
(მაგრამ იმედს აღარ ვკარგავ),  
და მიმყვება ვაჟას ვალი,  
რადგან ჩემზე,  
ასჯერ კარგად,  
ის ხედავდა წუთისოფელს –  
მტკივან თვალით.

1992



\*\*\*

დასაბამიდან,  
საქართველოს ბედის სასწორის  
პინებზე იდო ყოფნა-არყოფნა,  
და მის სიცოცხლეს,  
სიკვდილისგან ასჯერ აწონილს,  
მოყვრებისა და მტრების ჯინაზე,  
სწონიდა ქამი,  
ისტორიის დიდი სასწორით.

1993



\*\*\*

შეახტება ცისკრის ღობეს,  
ყელს მოიდერს და ქართულად,  
როცა იტყვის მზე ყიყლიყოს,  
მაშინ, ჩემო,  
სადაც ვიყო,  
ვტოვებ უცხო ცას და მიწას  
და მტრებისგან იავარქმნილ  
სამშობლოსკენ გული მიწევს...

1994



\*\*\*

გრიგალს სურს ქალწული  
ზღვა დაიმორჩილოს  
და ბალახივით ქვეშ  
ამოიწვინოს,  
მაგრამ მას ვერ დააუძლურებს;  
ზღვა თუმცა მემავი ქალივით,  
ამოყრის ზვირთების ძუძუებს.

1962



## ალბათ

გამოუგლიათ ჩემს დღეებს რა გზა,

პირს,

ალბათ მიტომ ვერ უხსნიოთ

დანა,

ალბათ, ამიტომ ეჩვენება დასეტყვილ

გაზად,

ალბათ, ამიტომ ეჩვენება

ნაწვიმარ ყანად

ესე ქვეყანა.

1986



\*\*\*

ზღვა,

მთას სიყვარულისთვის,

ათას ოქროს დაპირდა

(ოქრო ქვიშად ეყარა),

ერთი ტალღა ნაპირთან,

ქარს,

კვლავ ამოეფარა.

1967



## სხვა საქართველო სად არის

ათასწლეულთა ბარე ორიდან,  
მე მას ვუმდერი,  
იციო ვინც არი,  
ვისი სიცოცხლის მე ვარ მსურველი,  
ვინც არის ჩემი დასაფიცარი,  
ვისიც მწვავს ტრფობა  
განუკურნელი.

1992



\*\*\*

წელმოხრილი,  
ღრუბლის ხურჯინს  
მიათრევს და მიუყვება ცის ლურჯ კიდეს.  
მთვარე თითქოს მთამსვლელია,  
დგას ზღვის კუბო,  
მოქათქათე ქაფის ფარჩით,  
შიგ გრიგალი ასვენია.

1959



## ზეპსი

უცებ ბრაზით რომ იქუხებს,  
ჩამოყრის მნათთა  
ნაღვენთებს,  
გაფანტავს დამის ნახევებს  
და უდარდელად მჯდარ ლმერთებს,  
სიცოცხლეს გაუნახევრებს.

1981



\*\*\*

გადასულა ხობისწყალი,  
არც ჭალა ჩანს  
და არც პარა,  
და გაღმიდან ვიღაც ყივის:  
— ქურდბაცაცა დამეები,  
თქვენს დღეებსაც მოიპარავს.

1967



## პირვენი

ჩემს წარსულს –

შორეულ სივრცეებს შევტირი,

თუმც ცაზე მთიები –

ბრწყინავენ კოლხურ ანბანივით,

და ქუთაისში –

მეც აიეტივით,

ფაზისის ემბაზში ვარ განბანილი.

1961



\*\*\*

მწამდა,

დღე რომ ნაპრალებში,

ფრთებს ორბივით არ ჩახრიდა,

რადგან მთაა დღის სათავე,

მზეც მიუვალ ქანჩახიდან

ვეხს არ იცვლის,

თითქოს ღამის,

გამოჩენას უთვალთვალებს.

1986



\*\*\*

“ეგება გულის ვარამი  
ჩაგდლა მა ჯიხვის რქაშია”.

ვაჟა-ფშაველა

უცალო ირმის ბლაგილი,  
დღე და ღამ აღარ აძინებს  
საფიხვნოსა და საჯიხვეს,  
მთები,  
მზით სავსე ბარძიმებს  
სვამენ...  
აპლავ ცლიან ჯამ-ჯიხვებს.

1977



\*\*\*

ზღვაოსან კოლხთა და დიაოხთა –  
აქარიშხლებულ ცის და სულების,  
ისევ გრძელდება ქროლვა –  
აფრული  
და ისევ მესმის მათი ყიუინა,  
მარადისობის უფსკრულებში  
გადახაფრული.

1986



\*\*\*

ქარი აგებს და ლურჯი ზვირთების,  
გვლავ ემატება სართულს –  
სართული,  
მეხის ძახილზე აქაც შებინდდა,  
ვით ნისლის ფთილა,  
ყანჩა ადგა  
ფრთა გაწვართული,  
პალიასტომის ტბის ლაქაშებიდან.

1979



\*\*\*

არყოფნის შავი მწევარი  
მოგვდევს და გვიყეფს  
ავტია,  
ეოფნაც წამია მქროლავი,  
მკვდარს როცა ქვა-დორდს  
აყრიან,  
მაშინ სიკვდილსაც ქოლავენ...

1982



\*\*\*

ცხოვრება ყოფილა ქარი და ქაოსი,  
დღეთა გამოხშირვა და  
მოროდი,  
შენ ქრისტესმიერი და მისი ძმობილი,  
სიცოცხლემ როგორ გაგაბოროტა,  
სიკვდილმა როგორ  
გაგაკეთილშობილა.

1989



\*\*\*

ცაა მშვიდი...

და მაცვივა –

ვარსკვლავების ვარდი ცვარად,

ვერცხლნარევი,


ვით ზეფირი,

ზღვა მწუხარისას გარდიცვალა,

წევს –

გულზე ხელ დაკრეფილი.

1964



\*\*\*

ყველა ქრთად –  
მცირებ,  
დიდიც,  
მხრებზე მაწევს მაღლიც, ცოდვაც,  
ამის ნაკორტნი გულიც მეწვის,  
ცოტა კიდევ!  
კიდევ ცოტაც  
და... გადაგალ ხიდზე ბეწვის.

1989



\*\*\*

ვეცხლი?

ვიცი...

მაგრამ ეს მზე ჩამავალი,

არ აჩაღებს ხანძარს ნაკლებს,

მწუხრიც მოვა,

ცად დაკიდებს –

ვარსკვლავების ზანზალაკებს.

1989



\*\*\*

ზღვას აშრობს და მთვარეს აქრობს,  
ფშვნის ბრინჯაოს მთებს და  
კბოდებს  
და ძახილი ახლო ისმის,  
დამის რაშით იგი მომდევს  
მოსაწევზე ერთ ისრის.

1992



\*\*\*

ქუხილით და მეხთატეხით  
ცა კვლავ ებრძვის საწყალ მიწას,  
უნდა დარჩეს ერთი,  
ორში,  
დაიწვას და დანახშირდეს,  
ზღვას,  
ქარისგან ნერვებმოშლილს,  
აწ ვერავინ დაამშვიდებს.

1969



\*\*\*

ისტორიის ნაცარსა ვჩხრეკ,  
და მსურს დრომ –  
გარდასულმა,  
ცეცხლის ალში დამდაგოს,  
ათაბაგის ასულმა,  
სამცხე-საათაბაგომ.

1991



\*\*\*

დადის ნისლი...

და თბილისის  
ხილვის,  
ისეგ ჰქონდეს წყურვილი  
მეტეხსა და ნარიყალას,  
თუმც,  
მზემ ტანი ქალწულივით,  
რახანია აიყარა.

1967



\*\*\*

ჩემი სიცოცხლე ჩაიცვამს შავებს,

იქნება ცრემლი...

იქნება გლოვა...

რადგანაც ფრთები დასცვივა სურვილს,

და...

დღეთა ბოლოს,

მე შენთან მოვალ,

რომ ცოდვით საგსე მოგართვა სული.

1990



\*\*\*

ქარიშხალზე მიჯაჭვული,  
ლომის ფაფარს გადაიყრის  
ზღვა,  
როს იპყრობს აგონია,  
მე, ქონდრისკაცს...  
მაგრამ მიკვირს,  
ვინ აღელვებს ამ გოლიათს.

1961



\*\*\*

სვეტიცხოველს ადარ უჩანს,  
არც სარკმელი,  
არც საკინძე  
და მაინც კარგ სიზმრებს ხედავს:  
პგლავ,  
ჭაბუკი არსაკიძე,  
ეფერება მტკვარს და მცხეთას...

1994



\*\*\*

ვითარც “სიბილას წიგნები”,  
ჩემიც,  
ნაწერია მზის მელნიოთ  
და მთვარის კალმიოთ,  
ფოთლებზე –  
პალმის.

1991



\*\*\*

ჩამოიქროლეს მეტეორებმა,  
და მივიწყებულ ღმერთების  
ხათრით,  
ცის სიგრძე-განი ელვით გაზომეს,  
ახლა პორები აღებენ ფართოდ  
ვარსკვლავთა თქროს  
სადარბაზოებს.

1967



\*\*\*

გადაბეჭილი და დასეტყვილი  
და მაინც მარად მსხმოიარე  
ცა არის ვაზი,  
რომელსაც თვალზე ჰკიდია მთვარედ –  
ცრემლი ფარული,  
ცის ტოტზე ახლა, აქა-იქ მოჩანს –  
ვარსკვლავთა მტევნები  
შეთვალული.

1979



\*\*\*

მესხთა და ჯავახთა მიწაზე,  
ვით ადრე ირევა მუმლი და,  
ვჭრებ ნაციხარებს და...  
ვხევდები,  
ჩემი ლექსების –  
სუვდა ჩამდგარ სათოფურიდან, –  
საქართველოს პირქუში წარსული იხედება.

1993



## ცისპრის ზარები

ერთმანეთზე აწვენს ელვა, —  
დრუბლების დიდ და  
შავ ბელტებს,  
აღსაგლიოთ კი მიჰქრის ეტლი,  
ბორბლებს ახდის ცეცხლის ალი,  
დამის გზაზე გდია მთვარე —  
ჰელიოსის ცხენის ნალი.

1959



## ქარიშხლის ეიმედება

ცისკრისას აღმოსავლეთით  
თავს იწონებს...

მედიდურობს,  
მთა, მზის ალი რომ ედება!

და...

ზღვაც ხშირად რომ დიდგულობს,  
ქარიშხლის ეიმედება.

1975



\*\*\*

დღეთა ლურსმნებით დაჭედილ,  
ჩვენი ხსოვნის კუბოში –  
წვანან დაღლილი მამა-პაპანი  
და მიტოვებულ მათ საფლავებზე –  
ლოცვად წამოყვეს თავი იებმა,  
ვით მათი სულის მოხსენიება.

1989



\*\*\*

მზე როცა ჩავა,  
დამეები მზის კვალს მისდევენ,  
და როცა დილა ხელებს აუქნევს,  
ცხრა მთას გადავლენ და მოკურცხლავენ...  
თეთრით მოსილი დღეები კი, ასე ურცხვები,  
ჩვენი სიცოცხლის დიდ წიგნს ფურცლავენ  
მანამდის,  
სანამ ბოლომდე არ დაიფურცლება...

1978



\*\*\*

მოხუცი მწყემსის სალამურივით,  
საგსეა გული ოქრონარევ  
მზით და გალობით,  
სიხარულის ზღვა მიდგას თვალებში,  
მაგრამ რად გინდა ბედნიერება,  
უფალო,  
შენთან ყოფნის გარეშე.

1989



\*\*\*

ცას მთიებით გადახურულს  
და ვარდისფრად ლამენათევს,  
შორეული ხმა –  
მისტირის, -  
ცის სახურავს ერთი მნათი,  
დაუსხლტება –  
კრამიტივით.

1961



\*\*\*

မაရွှံခြား၊  
မနေ့တွင် မနေ့တွင်၊  
မနေ့တွင် မနေ့တွင်...  
မနေ့တွင် မနေ့တွင်...

1974



\*\*\*

სადღაც მთათა მიღმა,  
ახლოს სიცილიის,  
ფხიზლობს ვეზუვი და შიშობს ნეაპოლი,  
ღრუბლების ციცქა ნავი –  
მთვარის აფრიანი,  
დილის შესახვედრად – დამეს მიაქროლებს...  
მიწა –  
ოკეანის თვალებს აბრიალებს.

1982



\*\*\*

რადგან გზა აირჩიე გოლგოთის,  
გერავინ გადაგახვევინებს  
იმ გზიდან  
და მიტომ უძლებ მოშურნეთა ჭექას და  
ქუხილს,  
მუხის ჯიშისა ხარ და მიტომ გიზიდავს,  
დაფნის კი არა,  
ქართული ციხის ქონგურივით დაკბილული  
ფოთოლი მუხის.

1986



\*\*\*

თქმულებების...

ლეგენდების...

და ამბების საზღვაპრონის,

სიზმარ-ცხადში გადმოსვლის –

ვთესავ ლექსებს,

ვით დრაკონის

კბილებს, გმირი კადმოსი.

1967



\*\*\*

ჩემო,

წამ და უწუმ გიწვევ,

ჩემდა ცეცხლად,

და სახმილად,

რასაც ოქროდ მოსაგს ენა:

უხილავის –

მოსახილვად,

უსმენელის –

მოსასმენად.

1989



\*\*\*

წარბგაუხსნელი და მუშტეპერული,  
მუდამ მშფოთვარი,  
მუდამ დიდგული,  
ბნელ და ავდრიან ღამეს მაგონებს,  
უიმედობის ჯაჭვით მიბმული –  
ლგარცოფიანი ზღვის  
პელაგონი.<sup>1</sup>

1979

---

<sup>1</sup> პელაგონი – ზღვის სიგრცე, ზღვის შუაგული.



## ალბათ, სულ მაღვ

ქარები ისეგ ჩალავენ ჭალებს,  
დღეები წვიმის –  
თოკებით კრავენ,  
პიდევ ცოტაც და...  
ალბათ სულ მაღვ,  
გააცლის მარტი ბებერ ზამთარს  
ქათქათა კრაველს,  
ყინვის გაბარჯდულ რქებსაც მოუმტვრევს.

1987



\*\*\*

უამს მიმწუხრისას “ფიქრო  
გასართველად”.

შავი ზღვისპირას როცა

ჩავივლი

(გარდასულ უამზე ფიქრებს ჩვეული),  
ზფირთებში მესმის –


მუშტშეკრული მამის

ბლავილი,

კივილი დედის –

შვილწართმეულის.

1987



\*\*\*

პატარა,

თოვლიან ფერდობზე,  
კურდღლის თუ მელიის რბის  
ნაფეხურები,  
რომელსაც ბილიკი ძლივს გაუკვალია.  
იქვე მიწურიდან -  
შავად რომ ამოდის,  
თითქოს და ჰეფესტოს სამჭედლოს  
გვამლია.

1962

\*\*\*

ჩიჩილაკებით მოვა აპრილი,  
შეითვალება მზე, ვით ყურძენი  
და სევდისაგან განვიტვირთები,  
თუ გულის ხეთქვას ბადში პვირტების,  
ვაზების ტირილს –  
თუ გავუძელი.

1971



\*\*\*

შუბლანთელი ქართლის მთები,

როცა დუმილს

ჩამობარდნის,

გულიოთ უნდა ქარს ატირდეს,

ცა —

ძირს რომ არ ჩამოვარდეს,

უკავიათ ოქროს მხრებით

მწვერვალების ქარიადიტებს.

1957



\*\*\*

მეხთა ტყორცნით და ელვის კვეთებით,  
ცა იგერიებს  
ქარის იერიშს,  
თეთრი ღრუბლების თრთიან აფრები,  
და ღრუბლებს მიღმა დასალიერში  
წუხს მარტოობას  
მიუსაფრობა.

1979



\*\*\*

ცის პირიდან ფიფქი ცვივა,  
უამური,  
როგორც ყოვლის  
ფუჭი ლიქნი პირმოონეთა,



სარჩევი

წინასიტყვაობის მაგიერ .....	5
ხეოფსსა და ტუტანხამონს .....	25
*** მადლს გწირავ .....	26
*** დედამიწაზე რაც კი.....	27
*** სიყვარულის გასახარად .....	28
*** გულმა “სიცოცხლე” .....	29
*** მოვარის კოშკიდან .....	30
რვაასი წლის მერე .....	31
*** როგორც... .....	32
*** თეთრი დუმილი.. .....	33
*** ცა .....	34
*** სიბნელის მიღმა ისევ... .....	35
*** დღეები როგორ... .....	36
*** არ იქნება მტკვარი... .....	37
*** თოვლში და პაპანებაში .....	38
კვიპაროსი ჩემს... .....	39
*** მარადებამს ღვთიურ... .....	40
*** ჩამავალი მზის ოქროს... .....	41
*** დამწუხერებული... .....	42
*** როცა ჩავუგდი დიდუბის... .....	43

*** სიტყვას ვწნავ...	44
*** გადაიყარეს ნისლები	45
*** აღარც ლოცვა...	46
*** ქარიშხალით ოდნავ...	47
*** სიზმრის ქვეყნიდან...	48
*** სიცხით და შვოთით...	49
*** შენ ძილს გიკარგავს	50
*** დღისა და ღამის...	51
*** მოვარით მომკილ...	52
მზე პირს იბანს	53
ჭიამაია	54
ო, ღმერთ!	55
*** წამომდგარან და...	56
სიონში	57
*** ფეხშიშველა ციცქა...	58
პოეზია	59
*** მოვარდა ქარი და...	60
არაგველების ობელისკი...	61
*** მოიშორა შავ კაბაზე	62
*** შიშის მესრებით...	63
*** კვამლი ცეცხლს უხმობ	64
*** მზე	65
ცრემლი	66

*** როდესაც დარია .....	67
*** დიდ არს უფალი .....	68
*** ჩამოწოლილი ქს... .....	69
*** ათასეული წლის... .....	70
ცისფერი ყვავილები .....	71
მერანი და ფარისი .....	72
*** იყავ მაღალი და.... .....	73
*** ზღვის მოალერსე... .....	74
*** სანაპიროზე ნავების... .....	75
*** მზე .....	76
*** იმ სოფლად წასულთ .....	77
*** სასოწარკვეთას გაჰკივის.. .....	78
ლტოლვა .....	79
*** ხსოვნის ლურჯ... .....	80
*** დღე და დამეს .....	81
*** ათასფერი ქს სამყარო .....	82
*** აღმოსავლეთის .....	83
*** დაბადებიდან .....	84
*** დღეებს გაფრენილს... .....	85
*** სიცოცხლე რომ ჰყავთ... .....	86
*** ნაპირზე ყრია... .....	87
*** სიცოცხლე .....	88
*** სიყვარულს ჰყავხარ... .....	89

*** მწუხერიდან .....	90
სხვა არაფერი .....	91
*** მკერდ ბუმბერაზს და... .....	92
*** ცა თითქოს ვეება ნაძვია .....	93
*** დიდი წინაპრების... .....	94
*** მიწას ვუყვარვარ .....	95
*** სუნთქვა გიჭირს და... .....	96
*** მზითვად მოვარის... .....	97
*** მარადუამს მოუსვენარი .....	98
ქვიშეეთი – 85 .....	99
*** აღარ შორდება .....	100
*** დასაგლეოისკენ.... .....	101
*** ზღვა ისე ღელაგს... .....	102
*** მზე რომ ამოპყავს დამის... .....	103
*** ო, ეს შენა ხარ! .....	104
*** სანაპიროზე... .....	105
*** სადღაც .....	106
*** ეფორება და... .....	107
*** როს ღრუბელი.... .....	108
*** ყველას უკლებლივ .....	109
*** წევს ოქროს სანაპიროზე .....	110
*** გაზაფხულია... .....	111
*** მზის ნაფეხურს... .....	112

*** ტყეს რომ გადაურბენს .....	113
*** მთათა ტყვეობას.... .....	114
*** დამის უღრანში ნადირს... .....	115
*** მიწის სითბოს და... .....	116
გელი ელვისიოსის .....	117
*** ცის თვალში კიდია .....	118
*** პარას ჭალაში ირევა.... .....	119
*** ხარისთვალათი სავსე... .....	120
*** მისი სული მექოლიაა .....	121
*** მწარე ყოფილა... .....	122
*** სიცხის საზომი... .....	123
*** ღრუბლებში მქროლავ... .....	124
*** ოდითგან ასე საწუთო .....	125
*** მგოსნებს წამით რომ... .....	126
1609 წლის 27 ივნისი... .....	127
*** ცას მოწყვეტილი... .....	128
ცისფერი .....	129
*** ზამთრის კარები მიიხურა .....	130
ურწმუნო თომა .....	131
*** მიწის დუმილში იპოვის.... .....	132
*** ზაფხულ და ზამთარ .....	133
*** ერთხელ მაინც რომ... .....	134
*** სწორია .....	135

*** იქუხა...	136
*** ქარი კი არა .....	137
*** ხტუნვა-ხტუნვით მიჰყვებიან .....	138
გალაკტიონს .....	139
*** ქარ-მეხიოთ...	140
*** დარდით და ფიქრით...	141
*** გვა .....	142
*** ვერა და ვერა .....	143
*** ბოლოს .....	144
ჭიაურის ტყე .....	145
*** ღვთაებრივს .....	146
*** მთვარის ჩანგოსან...	147
რომ...	148
*** ბნელა და სანაპიროზე .....	149
*** ხე .....	150
*** ცხრათავიანი დევების .....	151
***... მიწის დილეგში ყოფნა...	152
*** ვით დიდოელი ლეპვები...	153
*** ვერი ეცვალა უეცრად...	154
*** აიეტივით მზის შვილი .....	155
*** რომ ვთქვა გმირთა...	156
*** ქართველ, გადამთიელის .....	157
*** დამსხდარან ღრუბლების...	158

ამირანმა გამოჭედა .....	159
*** სამშობლოს ლაჟვარდ... .....	160
*** დამწუხერდნენ მთები... .....	161
*** მარადის მოუსვენარი .....	162
*** ვითარც ერთ დროს... .....	163
*** თოვლის თეთრი... .....	164
*** სულთა მარადისობის .....	165
სანთელი .....	166
სტამბოლში .....	167
*** ფრიალოზე დაკიდული .....	168
ვულკანი .....	169
*** ბოლო ისიც იქცა... .....	170
ფერისცვალობა .....	171
*** დილიდან .....	172
*** ზამთრის წუხილით... .....	173
როგორც მიქელანჯელო .....	174
*** აი .....	175
*** შორიდან ნგრევად... .....	176
გევხვი .....	177
*** ფერად-ფერადი... .....	178
*** არ ვიცი რატომ! .....	179
*** ღმერთებმა ზეცა მეხით... .....	180
*** იწვის და ბობოქრობს... .....	181

*** სტამბოლისკენ...	182
პოეზიის არწივი	183
*** ნინგელა ალუჩამ...	184
*** ფიფქები ციდან მოდის...	185
*** მივალ...	186
*** ათას ქარიშხლით...	187
ომოგვის ციხე	189
*** მტრის გასახარად...	190
*** ელვის აბრეშუმის...	191
*** კვლავ აშრიალებს თქვენს...	192
*** ცის ერდოზე...	193
ლეგენდებში მშობა დალიმ	194
*** ცის ჭიუხებში არ ჩანს...	195
ვაჟას ვალი	196
*** დასაბამიდან	197
*** შეახტება ცისკრის ღობეს	198
*** გრიგალს სურს ქალწული	198
ალბათ	199
*** ზღვა	200
სხვა საქართველო სად...	201
*** წელმოხრილი	202
ზევსი	203
*** გადასულა ხობისწყალი	204

კირბები .....	205
*** მწამდა .....	206
*** ეგება გულის ვარამი .....	207
*** ზღვაოსან კოლხთა... .....	208
*** ქარი აგებს და ლურჯი.... .....	209
*** არყოფნის შავი მწევარი .....	210
*** ცხოვრება ყოფილა ქარი.. .....	211
*** ცაა მშვიდი .....	212
*** ყველა ერთად .....	213
*** ცეცხლი? .....	214
*** ზღვასა აშრობს და... .....	215
*** ქუხილით და მეხთატებით .....	216
*** ისტორიის ნაცარსა.... .....	217
*** დადის ნისლი... .....	218
*** ჩემი სიცოცხლე ჩაიცვამს.... .....	219
*** ქარიშხალზე მიჯაჭვული .....	220
*** სვეტიცხოველს აღარ... .....	221
*** ვითარც “სიბილას... .....	222
*** ჩამოიქროლეს მეტეორებმა .....	223
*** გადაბელილი და... .....	224
*** მესხთა და ჯავახთა... .....	225
ცისკრის ზარები .....	226
ქარიშხლის ეიმედება .....	227

*** დღეთა ლურსმნებით...	228
*** მზე როცა ჩავა	229
*** მოხუცი მწყემსის...	230
*** ცას მთიებით...	231
*** მარჯვნივ დღეა	232
*** სადღაც მთათა მიღმა	233
*** რადგან გზა აირჩიე...	234
*** თქმულებების...	235
*** ჩემო	236
*** წარბგაუხსნელი	237
ალბათ, სულ მალე	238
*** ჟამს მიმწუხრისას...	239
*** პატარა	240
*** ჩიჩილაპებით მოვა...	241
*** შებლნათელი ქართლის...	242
*** მეხთა ტყორცნით და...	243
*** ცის პირიდან ფიფქი ცვივა	244

2. December 18



2020.6.

გაზა ებრისელი

## პოლური ფსალმუნები

100 ჭორად  
ჭორი 41

VAZHA EGRISELI  
“KOLKHURI PHISALMUNEBI”  
ONE HUNDRED VOLUME  
VOLUM 41

- |                     |                   |
|---------------------|-------------------|
| გამომცემლობის       | – შარაპ ხოჭოლაგა  |
| რედაქტორი           | – საართავ ცინცაძე |
| მხატვარი            | – ირაკლი უშვერიძე |
| მხატვრული რედაქტორი | – ნანა ღუბიძე     |
| ტექნიკური რედაქტორი | – ვაჟი ოჩიგავა    |
| კორექტორი           | – ნანა ჭავჭავაძე  |
| კომპიუტერული        | – ნანა ჭავჭავაძე  |
| უზრუნველყოფა        | – ნანა ჭავჭავაძე  |
| გამომცემელი         | – პაპათ დოლიძე    |

გამომცემელი – პაპათ დოლიძე

ფასი 20 ლარი

თბილისი  
2020



გამომცემლობა „უნივერსალი”

თბილისი, 0186, ა. აღლიძეს ქ. სამხრეთი 4. ტელ: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30  
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversal@gmail.com